F75/2 № 13832

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქტორთან საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—53.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—48.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში— 1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვონცებით.

№ 35 (887) სამშაბათი, 12 თებერვალი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი. ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 35 (887)

დ ღ ი უ რ ი

9 თებერვლამდის რუსეთის კომპარტიაში შესვლის სურვილი განაცხადა 17 ათასამდე მუშამ.

რუმინეთში პურის უქონლობის ნიადაგზე [illegible]

საფრანგეთში საავტომობილო ფირმამ დაითხოვა 7 ათასი მუშა.

გერმანიაში მენშევიკები აგიტაციას ეწევიან მუშებს შორის, ბრძოლის შეწყვეტის შესახებ.

შვეიცარიაში მძვინვარებს საშინელი ქარ-ბუქი, რომელმაც რამოდენიმე კაცი იმსხვერპლა.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა, რომ
მორიგ პარტიულ დღეს,
პარასკევს 15 თებერვალს, ყველა უჯრედში დღის წესრიგში დასმული იქნეს საკითხი:

1. **სრულიად საკავშირო მე-13-ე პარტიულ კონფერენციის შედეგები.**
2. **ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ამოცანები.**

მასალებათ გამოყენებული იქნეს: ამხ. რიკოვის მოხსენება საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე, კამათი და რეზოლიუცია მოხსენების გამო („კომუნისტი" 1 და 3 თებერვლის ნომერი)

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუხაძე

დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება
საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა
ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.
ცაკის მდივანი პ. ხაბაშვილი.

სახალხო მასწავლებელი

(განათლების მუშაკთა ყრილობის გამო)

დღეს იხსნება საქართველოს განათლების მუშაკთა ყრილობა. ფაქტიურად იგი შეიძლება ჩავთვალოთ მასწავლებელთა ყრილობად, რამდენადაც ეს უკანასკნელნი შეადგენენ განათლების დარგში მომუშავეთა აბსოლიუტურ უმრავლესობას.

ყრილობის დღის წესრიგში, სხვათა შორის, დასმულია საკითხი სახალხო მასწავლებლის და მისი როლის შესახებ სოფლად.

დიდია, განუზომელია სახალხო მასწავლებლის მნიშვნელობა, განსაკუთრებით ჩვენს პირობებში.

სახალხო მასწავლებელი ხშირად ერთად-ერთი კულტურული ძალაა სოფლად. ის გამტარებელია კავშირისა ქალაქსა და სოფელ შორის, საბჭოთა ხელისუფლებასა და მშრომელ გლეხობას შორის.

თუ მასწავლებელი დგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე, ის უეჭველად დიდ გავლენას ახდენს სოფლის კულტურულ ცხოვრებაზე.

იქნება სამკითხველო, თეატრი, წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი წრე და სხვა ასეთი ორგანიზაცია,—ის უნდა იყოს ყველა ამის სული და გული.

ჩვენ არას ვიტყვით მის მუშაობაზე თვით სკოლის კედლებში, ბავშვების აღზრდა განათლებაზე ახალი ცხოვრების მოთხოვნილებათა და პედაგოგიკის უკანასკნელ მიღწევების მიხედვით.

ამ სფეროში ხომ უდიდესი საპასუხისმგებლო და შემოქმედებითი მუშაობა აწევს მასწავლებელს.

საკითხავი მხოლოდ ის არის, რამდენად შეუძლია დღევანდელ მასწავლებელს თავისი პედაგოგიური და საზოგადოებრივი დანიშნულების შესრულება.

ერთი რამ ამ თავითვე უნდა აღინიშნოს: მასწავლებლობაში კარგა ხანია მოხდა პოლიტიკური გარდატეხა მუშურ-გლეხური ხელისუფლების სასარგებლოდ. სახალხო მასწავლებელს, რომელსაც უშუალო დამოკიდებულება აქვს მშრომელ ხალხთან, ბოლოს და ბოლოს არ შეეძლო დარჩენილიყო კონტრ-რევოლიუციის ბანაკში, ან განზე გამდგარიყო იმ, მთელი ცხოვრების ძირიან ფესვიანად განმანახლებელ გრანდიოზულ მუშაობიდან, რომელშიაც ეს ხალხი ჩაბმულია. და ჩვენ ვხედავთ, რომ მასწავლებელი ამოუდგა გვერდში საბჭოთა მთავრობას და მშრომელ ხალხს.

ეს გარემოება უეჭველად აადვილებს საბჭოთა ხელისუფლების კულტურულ ამოცანების განხორციელებას სოფლად.

მაგრამ არის ორი გარემოება, რომელნიც მასწავლებელს ხელს უშლიან პირნათლად შეასრულოს თავისი რთული და მრავალმხრივი მოვალეობანი.

ერთია — მისი პოლიტიკურ და კულტურულ მომზადების დაბალი დონე, მეორე—ნივთიერი ხელმოკლეობა.

ცხადია, რომ დღეს მასწავლებელი ვერაფერს გააკეთებს იმ გონებრივ ავლა-დიდებით, რომელიც მას გააჩნდა წინედ, ძველი რეჟიმის დროს.

ცხოვრება არაჩვეულებრივი სისწრაფით მიექანება წინ. როგორც საბჭოთა სკოლის სფეროში, ისე საზოგადოებრივ კულტურულ ცხოვრებაში ახალი ამოცანებია წამოჭრილი. ჩვენი მასწავლებელი საგრძნობლად ჩამორჩა ცხოვრების განვითარების ტემპს.

ამ გარემოებას უნდა გაეწიოს სათანადო ანგარიში. ამ მიმართულებით, მასწავლებლის გადახალისების, მომზადების მიმართულებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ბევრ ალაგას მოეწყო ე. წ. გადასამზადებელი კურსები, სადაც მასწავლებელნი ეცნობოდნენ როგორც სასკოლო, ისე პოლიტიკურ საზოგადოებრივ საკითხებს.

მაგრამ მაინც რაც გაკეთდა ჯერჯერობით, ძალიან მცირეა იმასთან შედარებით, რაც აწი უნდა გაკეთდეს.

მასწავლებელთა მომზადება ადვილი საქმე არ არის. ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი და სისტემატიური მუშაობა. განათლების კომისარიატი და განათლების მუშაკთა კავშირი მოწოდებული არიან უფრო გააფართოვონ ამ მხრივ საქმიანობა.

რაც შეეხება მასწავლებლის მატერიალურ მდგომარეობას, იგი ჯერ კიდევ მძიმეა. თანდათან ხდება მისი ჯამაგირის მომატება, მაგრამ მაინც შორსა ვართ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობიდან.

ფუჭია ყოველგვარი ლაპარაკი სწავლა-განათლების შესაფერ ნიადაგზე დაყენების შესახებ, სანამ მასწავლებელი ნივთიერად სავსებით არ იქნება უზრუნველყოფილი, სანამ პური შეადგენს მის მთავარ საზრუნავ საგანს.

ჩვენ ჯერ კიდევ ღარიბნი ვართ, მაგრამ რაც უნდა დაგვიჯდეს, მასწავლებელს უნდა მივსცეთ მეტი, ვინემ დღემდე ეძლეოდა.

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებას. სოფლის მასწავლებელი ხშირად დაბეჩავებულად გრძნობს თავს იმ მხრივაც, რომ ზოგ ალაგას არ არის მის გარშემო შექმნილი ამხანაგური თანამშრომლობის ატმოსფერა. მასწავლებელმა უნდა იგრძნოს, რომ მას აფასებენ, რომ მასზე ზრუნავენ. ადგილობრივმა საბჭოთა და პარტიულ ორგანოებმა უნდა შექმნან ამისათვის შესაფერი პირობები.

მასწავლებლის სულიერი და მატერიალური ცხოვრების ამაღლება,—ეს ერთ ერთი ჩვენი ძირითადი ამოცანაა.

ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ამხ. ლენინის შემდეგი სიტყვები: „სახალხო მასწავლებელი უნდა იქნეს ჩვენში დაყენებული ისეთ სიმაღლეზე, რომელზედაც ის არასოდეს არ მდგარა, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელიც დასაბუთებას არ საჭიროებს. საქმეთა ასეთი მდგომარეობისკენ ჩვენ უნდა მივდიოდეთ სისტემატიური, შეურყეველი და ენერგიული მუშაობით — მასწავლებლის სულიერად ასამაღლებლად და მის ყოველმხრივ მოსამზადებლად მაღალ მოწოდებისათვის და, რაც უმთავრესია — მისი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად".

ეს ერთ-ერთი უკანასკნელი ანდერძია განსვენებული ბელადის.

ჩვენ ეს ანდერძი უნდა განვახორციელოთ.

საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი

რეიხსტაგის ერთ-ერთ სხდომაზე ბისმარკი ამბობდა—ყველა პოლიტიკური შეთანხმება ემყარება პრინციპს do ut des („მომეცი-მოგცემ") თუმცა ზრდილობის დაცვის მიზნით ამის შესახებ არ ლაპარაკობენო.

ჭკვიანი რეაქციონერი სავსებით მართალს ლაპარაკობდა. კაპიტალისტური სახელმწიფოების პოლიტიკა ყოველთვის do ut des პრინციპზედ არის აგებული. მჭერმეტყველება საერთაშორისო სამართლის პრინციპებზედ, ქადაგება კულტურულ ეკონომიური პროგრესის შესახებ, დემონსტრაცია ჰუმანიური გრძნობებისა ერთა და ხალხთა თავისუფლების შესახებ, ლამაზი ფრაზეოლოგიაა ფინანსიური ოლიგარხიის ბნელ საქმეთა დასაფარავად.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცნობის საკითხიც მთლიანად ემყარება do ut des პრინციპს. ეს პრინციპი ხსნის იმ დაუდეგარ წინააღმდეგობას, რომელიც ახასიათებს კაპიტალისტურ ქვეყნებს ჩვენთან ურთიერთობის სფეროში.

რისთვის არავის სურდა წინეთ ჩვენი ცნობა და რისთვის სურთ დღეს? განა მათი ცნობიერების აპარატი ვერ ამჩნევდა ისეთი სახელმწიფოს არსებობას, რომლის მსგავსი არ იცის მსოფლიო ისტორიამ მთელ თავის სიგრძეზედ?

მუშათა კლასისათვის სავსებით გასაგებია თუ რისთვის არავინ ცნობდა წინეთ მის სახელმწიფოს და რისთვის სცნობენ ახლა. ბურჟუაზიისათვის ძნელი იყო იმ „ბუნტის" ცნობა, რომელმაც ბოლო მოუღო მის არსებობას, დაანგრია მისი ბატონობის ზღუდენი. ამიტომ საჭირო იყო „კრემლის ყაჩაღების" სასტიკი დასჯა, რომ „ნორმალური წესრიგი" აღდგენილიყო. როგორც ვიცით, ანტანტის ქვეყნებს მილიარდები დაეხარჯა უნაყოფოდ „წესრიგის აღსადგენად". ამიტომ ბრძოლის მეთოდები შეიცვალა. „კრემლის ყაჩაღები" გენუას კონფერენციის მაგიდაზედ მოიწვიეს მათთან ეკონომიური ურთიერთობის დასაჭერად ლოიდ ჯორჯისა და ბართუს მჭერმეტყველობად შეიცვალა ზარბაზანთა ქუხილი. მაშინ გვეუბნებოდენ—თქვენ ვალებს სცნობთ, მეფის ვალები უნდა გადაგვიხადოთ, ხოლო თქვენ არ გცნობთ. მუშათა კლასმა არ დასთმო თავისი მონაპოვარი. მან გადიტანა ეკონომიური ბლოკადაც. ეხლა გვეუბნებიან—თქვენ გცნობთო, ხოლო ვალების შესახებ პირობებსაც კი აღარ გვიყენებენ. ეხლა „კეთილ მეზობლური განწყობილების" დამყარება სურთ ჩვენთან.

დღეს ლენინი რომ მეტყველებდეს, ალბად გვეტყოდა—ჩვენ ბევრი სისულელე ჩავიდინეთ, მაგრამ კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა კიდევ უფრო მეტი სისულელე ჩაიდინეს. ისინი ჩვენი წაქცევის მოლოდინით მილიარდებს ხარჯავდენ დეფიციტიანი ბიუჯეტიდან ჩვენს წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციონური ძალების დასახმარებლად. დღეს ცდიდათ დაზარალებულნი გვცნობენ იმ იმედით, რომ ჩვენგან რაიმე მიიღონ.

მართლაც, როდესაც კაპიტალისტური სახელმწიფო გვცნობს, პოლიტიკური ბუხჰალტერიის თვალსაზრისით მას არ აუწყდება. პირიქით, გვცნობს სწორედ ამ თვალსაზრისით მას სურს მიღება ჩვენგან რისიმე და ამიტომ უნდა მოგვცეს რაიმე.

აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ, სწორედ do ut des პრინციპის თვალსაზრისით, კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ჩვენთან ურთიერთობის სფეროში ბევრი დაკარგეს „გამარჯვებულებმა" დამარცხებულთა ინტერესის სრული გვერდის ავლით შეიმუშავეს ვერსალის ზავი და შექმნეს უსუსური და უძლური ორგანიზაცია ერთა ლიგის სახით ამ ორგანიზაციას, რომელიც შვა ამერიკის პრეზიდენტის ვილსონის იდეოლოგიამ და რომელიც არსებითად მოკლა ამავე ამერიკის გასვლამ ლიგიდან, მიზნად დაესახა მეტად დიდი ამოცანები. ერთა ლიგას უნდა დაემყარებია „საერთაშორისო მშვიდობიანობა", უნდა დაეცვა „შრომის" ინტერესები, მოეწესრიგებია საერთაშორისო ვაჭრობა და ჰქონდა ბრძოლა ავადმყოფობათა და პროსტიტუციის წინააღმდეგაც კი (sic).

დიდი სიბრძნე არ იყო საჭირო იმის დასანახავად, რომ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელშიაც არ იქნებოდა მსოფლიოს სამი გიგანტი—ამერიკის შეერთებული შტატები, საბჭოთა რესპუბლიკები და გერმანია, ვერ შესძლებდა ვერავითარი საერთაშორისო საკითხის გადაწყვეტას. კიდევ მეტი—ისეთი პრინციპი, რომელიც დამარცხებულთა გაძარცვაზე აგებდა გამარჯვებულთა ზარალის ანაზღაურებას, ვერ შესძლებდა მშვიდობიანობის და ზავის განმტკიცებას. ამიტომ კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკოსები, რომელთა აზრით ჩვენ უტოპისტები ვართ და ისინი კი რეალური პოლიტიკის ხალხია, გაცილებით ჩვენზედ მეტი უტოპისტები გამოდგენ და ჩვენ გაცილებით მათზედ მეტი რეალური პოლიტიკის ხალხი აღმოვჩნდით.

ერთა ლიგას საშუალებით შეუძლებელი შეიქნა არა მარტო ზავის განმტკიცება და ეკონომიური აღორძინების დაწყება, არამედ შეუძლებელი შეიქნა რაიმე საერთაშორისო კითხვის გადაჭრა. როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში ომის ეპიზოდები გადაიშალა, როგორც დამარცხებულთა, ისე გამარჯვებულთა სახელმწიფოები პოლიტიკურ-ეკონომიურმა კრიზისებმა მოიცვა. ევროპის კონტინენტზე ქაოსი და დისჰარმონია გამეფდა, რამაც თავი იჩინა მთავრობათა დაუსრულებელ ცვლაში.

ამ პერიოდში საბჭოთა რესპუბლიკებმა შესძლეს არსებობის შენარჩუნება. ბურჟუაზიის იარაღის სიძლიერემ ვერ დაგვცა, მათი კაპიტალის გამოუყენებლობამ ვერ დაგვანგრია და შეიქნა მტკიცე სახელმწიფოებრივი ძალა, რომელსაც უნდათ არ უნდათ ანგარიში უნდა გაუწიონ. ბურჟუაზიამ თავის თავხედობით ჩვენს წინააღმდეგ ბევრი იზარალა და დარწმუნდა კომპრომისების აუცილებლობაში. ბურჟუაზიის რელიგია, სამართალი და მორალი მხოლოდ ძალას სცნობს და ამიტომ იგი იძულებული ხდება, რომ ჩვენ გვცნოს. ჩვენი ცნობა ინგლისის მიერ რევოლიუციის დიდი გამარჯვებაა საერთაშორისო პოლიტიკაში. იტალიის მხრივაც ცნობის საკითხი გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენ უეჭველად სხვა სახელმწიფოებიც გვცნობენ. ბურჟუაზია ჩვენი ცნობით ბევრს თმობს, იგი ბევრს იძლევა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი ტყვილა არაფერს დათმობს და არაფერს მოგვცემს. ამიერიდან იგი შეეცდება „კეთილმეზობლურ" ურთიერთობით აიღოს ის, რაც ვერ აიღო არა კეთილმეზობლური ურთიერთობით. აქ კი ჩვენ სიფრთხილე გვმართებს.

საბჭოთა ქვეყნებმა არც ერთ მომენტში არ დათმეს რევოლიუციის მონაპოვარი. ამ მონაპოვარს საბჭოთა ხელისუფლება და მშრომელი ხალხი იცავდა ყოველი ფორმის თავდასხმიდან. ეს დაცვა ხდებოდა ხან ხიშტით, ხან დიპლომატიით, ხან საბაჟოებით. ამ გზას არც ამიერიდან ავცდებით. ჩვენთვის ხელისუფლების შენარჩუნება მთავარია, მაგრამ იგი თვით მიზანი არ არის. ხელისუფლება მუშათა კლასის ხელში ინსტრუმენტია კაპიტალისტური კულტურის ასაფეთქებელი და სოციალისტურის გასამტკიცებელი. ეს კი შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც უცხოეთის კაპიტალს ფართოდ არ ექნება სამოქმედო ასპარეზი გადაშლილი.

კაპიტალის მაგნატთა დიპლომატია უეჭველად შეეცდება მცირე დათმობა მაინც მიიღოს სავაჭრო-სამრეწველო საქმეების სფეროში. საბჭოთა ხელისუფლება კი ვერავითარ დათმობაზედ ვერ წავა, რომელიც კი იქნება მიმართული უმთავრესი მიზნის—სოციალიზმის საქმის წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა ჩვენ გვესმის do ut des პრინციპი. როდესაც რასმე გვაწვდიან, ჩვენც შევეცდებით რაიმე მივაწოდოთ. ბურჟუაზია უეჭველად სარგებლობას ნახავს ჩვენით. ჩვენ ვიქნებით მისი იმპორტიური იმ პროდუქტების, რომელიც ჩვენ გვჭირდება, როგორც მოსახმარად, ისე სამეურნეო მიზნით. ჩვენ ვიქნებით ექსპორტიორი მდიდარი ნედლი მასალის და ნახევრად ფაბრიკატების. ამით მოვიგებთ ჩვენც, მოიგებს ბურჟუაზია.

იწყება ახალი ფორმა ჩვენი ურთიერთობისა კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ეს არის ეკონომიურად გამოყენების ხანა. აქ ჩვენ მისაღებათ მიგვაჩნია ბურჟუაზიის do ut des პრინციპი, მისი პოლიტიკური ბუხჰალტერია. ჩვენც ვეტყვით მას „მომეცი-მოგცემ". ამით, რასაკვირველია, არ დასრულდება მათთან ჩვენი ურთიერთობის ფორმათა განვითარება. ერთხელაც არის შესრულდება შრომასა და კაპიტალის შორის გამართული დრამის უკანასკნელი აქტი. კაპიტალიზმში დაჭექდა და თვითმკვლელობასაც გაურბის. ამ შემთხვევაში მას მის მიერ წარმოშობილი „მესაფლავე" ეწევა.

ხერ. ამაღლობელი.

ეკონომიური პოლიტიკის საკითხები

4. საფინანსო პოლიტიკა

საფინანსო პოლიტიკა ყოველთვის გამომდინარეობს იმ ძალთა განწყობილებიდან, რომელიც შეადგენს ქვეყნის მართვა-გამგეობის ძირითად საფუძვლებს. ჩვენს საფინანსო პოლიტიკას, რა თქმა უნდა, ექნება მიზნად მშრომელთა ინტერესების დაცვა და საგადასახადო და სახარჯო ტვირთის გადატანა ერთი მხრივ სარეწაო ორგანიზაციებზე და მეორე მხრივ არა მშრომელთა ელემენტებზე.

რასაკვირველია, ეს საერთო სახელმძღვანელო ხაზი უნაყოფო იქნება, თუ სახელმწიფოს არ გააჩნია შედარებით მტკიცე ვალიუტა. შეუძლებელი გახდება, მტკიცე ვალიუტის უქონლობის დროს, როგორც სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის გათვალისწინება, ბიუჯეტის შედგენა, ისე ყოველგვარი მრეწველობის ნორმალური მუშაობა. ასეთ შემთხვევაში ირღვევა შესაძლებლობა რაიმე სამეურნეო საქმიანობის გეგმაშეწონილად ჩატარების. ვალიუტის მერყეობით—ეკონომიურ ცხოვრებაში მეფდება ანარქია და სპეკულიაცია.

ეს პერიოდი შესამჩნევლად გავიარეთ ჩერვონცების შემოღებით, რომელმაც საშუალება მისცა საბჭოთა რესპუბლიკებს მტკიცე ვალიუტის გამო გამოეცოცხლებიათ სამეურნეო ორგანოთა მუშაობა. ჩერვონცის გამოშვებით ერთი დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ საფინანსო პოლიტიკის დარგში. ამ ნაბიჯით ჩვენ საკმაოდ მოვღონიერდით და შევძელით ანგარიშიანობის შემოღება სახელმწიფოებრივ და სამეურნეო დაწესებულებებში. დღეს მორიგ საკითხად სდგას ფულის ნიშნების შეცვლა მტკიცე ვალიუტით. ეს იქნება დიდი შეღავათი საერთოდ მეურნეობისათვის და კერძოდ სოფლისა და ქალაქის დაკავშირებისათვის, რომელიც დიდ ზიანს იტანს ორი ვალიუტით, რომელთა შორის ერთი მათგანი, ფულის ნიშნები, საშინელი სისწრაფით დაცემისაკენ მიეშურება.

ფულის რეფორმის შემდეგ შესაძლებელია ბიუჯეტის სიმტკიცით დაცვა და წონასწორობის დამყარება სახელმწიფოს გასავალ-შემოსავალს შორის—ეს რეფორმა მთელს ეკონომიურ ცხოვრების შესამჩნევად გამოაცოცხლებს და ბოლოს მოუღებს საქონლის ფასების იმ ქანაობას და რყევას, რომელიც დღეს არის ფულის ნიშნების კურსის დაცემის გამო.

როგორც ვიცით, გადაწყვეტილია ხურდა ფულის გამოშვება, ვერცხლისა და სპილენძის ფულის სახით. აგრეთვე ჩერვონცების უფრო მცირე კუპიურების შემოღება. ეს მეტად ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას. იგი გაადვილებს ვაჭრობას და შეამცირებს იმ ზარალს, რომელსაც იტანს მეტ ნაწილად მშრომელი გლეხობა და ქალაქის მუშა ფულის ნიშნების სწრაფი მერყეობის გამო.

გენერალური ყურადღების ღირსია საფინანსო მეურნეობის გაძლიერება. ეს ერთ ერთი ფორმაა ისეთი მეურნეობის, რომელიც უეჭველად დიდ როლს შეასრულებს გარდამავალი პერიოდის ეკონომიურ ცხოვრებაში. როგორც ვიცით, საფინანსო მეურნეობას მიზნად არა აქვს მოგებისადმი მისწრაფება, როგორც კერძო მეურნეობას. მის მიზანს შეადგენს სახელმწიფოს გასავალის, ხარჯების დაფარვა და ამით კოლექტიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. რამდენადაც თანამედროვე სახელმწიფო საერთოდ და მით უფრო საბჭოთა სახელმწიფო კერძოდ, არ კმაყოფილდება „დარაჯის" როლით, რომელსაც მას სთავაზობდენ პოლიტიკური ეკონომიის მამათმთავრები, არამედ ფართე სოციალურ მოთხოვნების დაკმაყოფილებას ისახავს მიზნათ, იმდენად საფინანსო მეურნეობის პრინციპების გატარება ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგებში, ერთი უძლიერესი იარაღია კერძო კაპიტალის ასალაგმავად.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, სხვათა შორის, მითაც განსხვავდება ეგ. წოდ. ინდივიდუალისტურ, ანუ უკეთ კაპიტალისტურ სახელმწიფოსაგან, რომ მისი ფუნქცია გაცილებით ფართე და ღრმა არის, ვიდრე უკანასკნელის. ჩვენი სახელმწიფო სცდილობს მთელი სოციალური ცხოვრების ტონის მიმცემი და უმთავრეს მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი იქნეს. ამიტომ მას ესაჭიროება გაცილებით დიდი და ძლიერი ეკონომიური რესურსები, ვიდრე სხვა ტიპისა და ფორმის სახელმწიფოს. ამიტომ როგორც საერთო სახელმწიფოებრივი საფინანსო მეურნეობა, ისე კერძო ადგილობრივი მეურნეობანი გაფართოვების და გავრცელების გზით უნდა მიემართებოდეს.

ამ მიზნით სახელმწიფოს შეუძლია გაზარდოს თავისი ძალა და ავტორიტეტი. ცხადია, როდესაც კაპიტალისტური სახელმწიფო, თავის ხელში დიდი სარეწაობის დაგროვებით, საფინანსო მეურნეობის ფარგლების გაშლით დიდ პოლიტიკურ ძალას იხვეჭდა, ეს მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის მიზანი იყო. დღეს კი რამდენადაც შევძლებთ საფინანსო მეურნეობის გაძლიერებას და სახელმწიფოს ხელში მნიშვნელოვანი დარგების დაგროვებით კოლექტიურ მოთხოვნილებათა დიდი ჯამის დაკმაყოფილებას, იმდენათ ეს სამარე იქნება კონტრ-რევოლიუციონური ძალებისათვის, ხოლო სიმტკიცე ჩვენი სახელმწიფოსათვის.

განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს სახარჯო ტვირთის განაწილების სფეროში.

როდესაც ჩვენი ეკონომიური ცხოვრება შედარებით გამოცოცხლდა, უნდა შევეცადოთ სახარჯო პრინციპის შესუსტებას სახელმწიფოს შემოსავლის სფეროში. უმთავრესად საწარმოო დარგზედ უნდა გადავიტანოთ სიმძიმის ცენტრი. შემდეგ, სახარჯო ტვირთი, ცხადია უნდა დავაკისროთ არა მშრომელ ელემენტებს. ამ მხრივ ჩვენი საფინანსო პოლიტიკა უნდა გამოდიოდეს იმ დებულებიდან, რომ კერძო კაპიტალი არც სავსებით უნდა მოვკლათ, მისი მოგება სავსებით არ უნდა დაფაროს ხარკმა, და არც უნდა მივცეთ მას აღორძინების საშუალება. მესამე კატეგორიად ხარკის მზიდველთა რიგში უნდა იქნეს მშრომელი ელემენტები, რომელნიც მინიმალური ხარკით იქნებიან დაბეგრილნი. განსაკუთრებით ხარკი უნდა შევუმციროთ სოფლის მუშას, იგი უნდა გადავაკისროთ „კულაკებს", რაც სოფლის შემყიდველობით ძალასაც გაადიდებს და საქონლის ცირკულიაციას ნორმალური გზით წარმართავს.

აქვე უნდა აღინიშნოს პირველ მოთხოვნილების საგნებზე აქციზის შემცირების საჭიროება. ამ საკითხს ყურადღება მიაქცია პარტიის 13 კონფერენციამ. ამ სფეროში ჩვენშიაც არის გადადგმული ნაბიჯები. საჭიროა მისი სიმტკიცით გატარება და დაცვა. ამით ჩვენს გლეხებს განვათავისუფლებთ არაპირდაპირი გადასახადების დიდი რაოდენობისგან.

კრედიტის მოწესრიგება, განსაკუთრებით წვრილი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის, დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კულტურის ზრდას და მის განვითარებას.

თუ ჩვენ შევძლით ამ საკითხების სასურველად მოგვარება, უეჭველად დიდი ეფექტის წინაშე დავდგებით. ჩვენი ცხოვრების პირობები გაცილებით გაადვილდება. სახელმწიფოებრივი და სამეურნეო, აღმშენებლობის კიდევ უფრო სიმაღლეზედ ასაყვანი გზა გაკაფული გვექნება.

ყოველივე ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ პირობებში, თუ სწორ გეგმიანობას დავიცავთ, თუ რაციონალურად გამოვიყენებთ ყოველ გროშს, თუ მინიმუმამდე დავსწევთ არა სამეურნეო ხასიათის ხარჯებს გავზრდით სამეურნეო შრომის რაოდენობას მისი პირობების გაუმჯობესებასთან ერთად. უკიდურესი მომჭირნეობა, ორგანთა მოქნილობა და ელასტიურობა, მტკიცე ორგანიზაციული და სისტემატიური შრომა უეჭველად დასძლევს იმ კრიზისს, რომელიც „მაკრატლის" პრობლემის სახით არის წარმომდგარი.

ეკონომისტი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

ავსტრიის პრემიერმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში ავსტრია იცნობს საბჭოთა კავშირს

ჩეხო-სლოვაკიის პრესა მოითხოვს დაუყოვნებლივ იქნას ცნობილი საბჭოთა მთავრობა.

შვეციის რიკსტაგში (პარლამენტში) კომუნისტმა ჩილბუმმა განაცხადა, რომ თუ ვინმეს უნდა ზავი—აუცილებელია საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობის აღდგენა

ინგლისის პრესა დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამს საბჭოთა მთავრობის პასუხის გამო ინგლისის ნოტაზე.

ჩვენ და ევროპა

ლენინის ანდერძი გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია ჩვენს საერთაშორისო ურთიერთობაში.

საუბარი ამხ. ჩიჩერინთან.

მოსკოვი. 11 თებერვ. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს ჩიჩერინმა განაცხადა: **ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას, ანტანტის სხვა სახელმწიფოებზე უფრო ადრე, დიდხანს ექნება გავლენა საერთაშორისო ურთიერთობაზე.** ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საბჭოთა რუსეთის სრულ ცნობას ინგლისის მიერ ხელს უშლიდა საკითხი ვალების და ნაციონალიზაციაქმნილი საკუთრების შესახებ. ინგლისის მმართველი წრეები ცდილობდენ აეძულებიათ ჩვენთვის ვალების გადახდა და ნაციონალიზაციაქმნილი საკითხების ანაზღაურება. **მაგრამ საბჭოთა მთავრობამ აქ გამოიჩინა ურყევი სიმტკიცე ინგლისის მუშების ზეგავლენით, დაბოლოს, ინგლისმა ჩვენ გვიცნო იურიდიულად უპირობოდ.** ჩვენ დიდი ხანია ვცდილობდით ინგლისის მთავრობასთან სადაო საკითხების დაწვრილებით განხილვას. **ჩვენ მივესალმებით კომისიის შექმნას ან კონფერენციას ამ საკითხების განსახილველად.** მაკდონალდის მთავრობამ იცის, რომ ჩვენ არ დავთმობთ ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის პრინციპიალურ პოზიციებს, რომელიც შორს არის აგრესიულობისაგან საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემა გააადვილებს ყველა სადაო საკითხების გადაჭრას.

იტალიის მთავრობამ ცოტათი დააგვიანა საბჭოთა კავშირის ცნობა, დაუთმო რა პირველობა ინგლისს. მაგრამ მან მაინც დაიჩქარა ჩვენი ცნობა და არ დაუცადა რუსეთ-იტალიის სავაჭრო ხელშეკრულების ყველა მხარეების დაწვრილებით განხილვას. საბჭოთა კავშირის ცნობას იტალიის მიერ სასარგებლო შედეგები მოჰყვება ორთავე სახელმწიფოსათვის. ცნობა სასარგებლოა არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ ის განამტკიცებს იტალიის საერთაშორისო მდგომარეობასაც.

საბჭოთა კავშირის ცნობა ინგლისის და იტალიის მიერ სცვლის მთლიან პოლიტიკის ძალთა განწყობილებას.

საფრანგეთის მდგომარეობა ეხლა გაცილებით უფრო გაუარესდა. საფრანგეთის მთავრობას ეხლა ძლიერ მცირე მოკავშირეები ჰყავს. მას შეეძლო საკმაოდ დარწმუნებულიყო ჩვენს სიმტკიცეში ვალების და საკუთრების საკითხებში. **საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწეები ვერ შეძლებენ ჩვენს დაშინებას".**

დასასრულ ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ ჩვენს ახალ საერთაშორისო ურთიერთობაში გზის მაჩვენებლად ურყევლად დარჩება ვლადიმერ ილიჩის ანდერძი.

ჩვენ გვიცნეს

საუბარი ამხ. ჩუბართან

მოსკოვი. 11 თებერვალი. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის ინგლისის და იტალიის მიერ ცნობის გამო, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ჩუბარმა განაცხადა: „ინგლისმა და იტალიამ იცნეს საბჭოთა კავშირი, რადგანაც **არ შეეძლოთ მომავალშიაც გვერდი აეხვიათ იმ სახელმწიფოსათვის, რომელსაც უჭირავს მთელი მსოფლიოს ერთი მეექვსედი ნაწილი,** აქვს აუარებელი სიმდიდრე, ფლობს დიდ ბაზარს. დანგრეული კაპიტალისტური ევროპა იმედით უცქერის ჩვენი ბაზრის გამოყენების შესაძლებლობას. **ინგლისის და იტალიის შემდეგ მოსდევენ სხვა სახელმწიფოები, რომელთაც, სხვათა შორის, უნდა ახსოვდეთ ლენინის ნათქვამი „ვინც მოვა უფრო გვიან, მას ეს უფრო ძვირად დაუჯდება."**

ინგლისში

ინგლისის პრესა საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

ლონდონი. 11 თებერვალი. გარდა „ტაიმს"-ისა და „მორნინგ პოსტ"-ისა, რომელნიც საბჭოთა რუსეთის ცნობის წინააღმდეგ ილაშქრებენ, **ბრიტანეთის დანარჩენი პრესა სიამოვნებით ხვდება საბჭოთა მთავრობის პასუხს:**

„დეილი ნიუზ"-ი ამბობს: „რაკოვსკის საბოლოო დანიშვნა, როგორც საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულის, საშუალებას იძლევა ეხლავე შეუდგეთ საქმეს. აშკარაა, პირველი, რაც უნდა გაკეთდეს,—ეს არის ნიადაგის მომზადება რაც შეიძლება ჩქარა, კონფერენციისათვის ლონდონში. საკითხები, რომელნიც მოითხოვენ გადაწყვეტას, მრავალია და მათი მოგვარება მარტო ნოტების გაცვლა-გამოცვლით შეუძლებელია,—ამ საკითხების განხილვა და გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ კონფერენციაზე.

საბჭოთა ნოტა ამტკიცებს, რომ რუსეთის მთავრობა მართლაც მისწრაფვის აქეთკენ და მას გულწრფელად სურს შეთანხმება.

„დეილი ქრონიკლ"-ი ეთანხმება რუსეთის მთავრობის განცხადებას და ფიქრობს, რომ „ურთიერთ ნდობა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობა რჩება ურყევ პირობათ მეგობრულ დამოკიდებულებათა განმტკიცებისა და განვითარებისათვის ორივე ქვეყნებს შორის".

„მანჩესტერ გარდიენ"-ი ფიქრობს, რომ ცნობა იძლევა იმედებს ახალ დაწყებულებათათვის საერთაშორისო დამოკიდებულებათა სფეროში, რომელსაც შედეგათ მოყვება საერთო სიკეთე. ვინაიდან იტალიამ ჩვენთან ერთად იცნო საბჭოთა მთავრობა, — ამიტომ ეხლა შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა დაიბრუნა თავისი ადგილი დიდ სახელმწიფოებს შორის; სხვა ევროპიულმა სახელმწიფოებმაც უნდა მიბაძონ იტალიის და ინგლისის მაგალითს.

ფ ი ნ ე თ შ ი

განაპირა ქვეყნები სცნობენ საბჭოთა კავშირის მნიშვნელობას

ჰელსინგფორსი. 9 თებერვალი. ფინეთის გარეშე საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ვენნოლამ მოხსენებაში, რომელიც გააკეთა მან „ფორპოსტულ ხალხთა" კლუბში, ხაზი გაუსვა რუსეთის რევოლიუციის ისტორიულ მიღწევას ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაში და ამტკიცებდა, რომ ისინი, ვინც სცდილობენ აღადგინონ ძველი იმპერიალისტური რუსეთი, ამით ილაშქრებენ განაპირა ქვეყნების დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ვენნოლას აზრით, **საბჭოთა კავშირი იმუშავებს განაპირა ქვეყნებთან ერთად და მათი საშუალებით შექმნის მშვიდობიან მუშაობის პირობებს ცენტრალურ ევროპაში. განაპირა ქვეყნები სიამოვნებით დაეხმარებიან ამ საქმეში საბჭოთა კავშირს**

ი ტ ა ლ ი ა შ ი

მუსოლინის დეპეშა ჩიჩერინის სახელობაზე.

რომი. 11 თებერვალი. რუსეთ-იტალიის ხელშეკრულების დადების გამო, იტალიის პრემიერმა მუსოლინიმ რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ჩიჩერინს გულითადი დეპეშა გამოუგზავნა, რომელშიაც გამოსთქვამს რწმენას, რომ იწყება ამ ორი სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის ახალი ხანა, თანაც აუწყებს რომ დაუყოვნებლივ დაინიშნება იტალიის დესპანი საკავშირო რესპუბლიკაში.

შ ვ ე ც ი ა შ ი

საუკეთესო საშუალება.

სტოკჰოლმი, 9 თებერვალი. რიკსტაგში სწარმოებდა კამათი მთავრობის იმ კანონპროექტის გარშემო, რომელიც შეეხება ქვეყნის თავდაცვის საქმეს. კამათის დროს კომუნისტმა ჩილბუმმა, უპასუხა რა კონსერვატორების განცხადებას სამხედრო საშიშროების შესახებ რუსეთის მხრივ, აღნიშნა, რომ **საუკეთესო საშუალება მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის არის სავაჭრო ხელშეკრულების დადება საბჭოთა კავშირთან.**

„სოციალ-დემოკრატენ"-ი ბეჭდავს ბრანტინგის დეპეშას, რომელშიაც ის მოითხოვს სახლვაო და საჰაერო ფლოტის შექმნას შვეციაში, მოლაპარაკების განახლებას რუსეთთან და ხელშეკრულების დადებას რუსეთსა და შვეციას შორის.

ჩეხო-სლოვაკიაში

დაცდა არ შეიძლება.

პრაგა. 9 თებ. საბჭოთა კავშირის სრულ-უფლებიანმა წარმომადგენელმა იურენევმა ჩეხის გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დროს აღნიშნა საბჭოთა კავშირის ცნობის მნიშვნელობა და განაცხადა, რომ **დაცდის პოზიცია საბჭოთა რუსეთის ცნობის საკითხში არ შეეფერება ეხლანდელ დროს. თუ ვინმეს უნდა დაცდა— დაიცადოს, რადგან საბჭოთა კავშირსაც შეუძლია ცდა.**

კომენტარიებს უკეთებენ რა ამ საუბარს, გაზეთები სწერენ, რომ **ჩეხოსლოვაკიის ინტერესები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას. „ჩვენი მრეწველები მეტად დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირთან დაახლოვებით,** მაგრამ რუსეთსაც არ შეუძლია გვერდი აუაროს ჩეხო-სლოვაკიას. იტალია-რუსეთის ხელშეკრულება შესამჩნევათ აუარესებს ჩვენს მდგომარეობას: დაყოვნება შეუძლებელია".

ა ვ ს ტ რ ი ა შ ი

ემზადებიან საბჭოთა კავშირის ცნობისათვის.

ვენა. 9 თებერვალი. ბუქარესტიდან დაბრუნებულმა ავსტრიის პრემიერმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ **ავსტრიის მთავრობა ემზადება საბჭოთა კავშირის ცნობისათვის. ავსტრიის მთავრობას განზრახვა აქვს მოაგვაროს ახლო მომავალში ს ვაჭრო ურთიერთობა ავსტრიასა და საბჭოთა რუსეთს შორის**

რ უ მ ი ნ ე თ შ ი

რუსეთ რუმინეთის მოლაპარაკება

ვენა. 9 თებერვალი. საკავშირო რესპუბლიკასთან მოლაპარაკების საწარმოებლად რუმინეთის დელეგაციის მეთაურად დანიშნულია რუსეთში რუმინეთის ელჩად ნამყოფი დიამანდი. თუ საჭირო გახდა, მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ბესარაბიის საქმეთა მინისტრი ინკულეცი.

მდგომარეობა გერმანიაში

პანიკა ბირჟაზე.

ბერლინი. 9 თებ. გერმანიის მარკის კურსის დაცემამ და აგრეთვე უცხოეთის ვალიუტაზე მოთხოვნილების უზომოდ გაძლიერებამ პანიკა გამოიწვია ბერლინის ბირჟაზე. პრესა აღნიშნავს, რომ ეს არის მხოლოდ სპეკულიაციის შედეგი.

რეპრესიები.

ბერლინი. 9 თებ. სამხედრო ხელისუფლებამ დახურა საამშენებლო მრეწველობის მუშების პროფინტერნის მომხრე პროფკავშირების განყოფილებები ბერლინში, ხემნიცში, პლაუენში და ჰალეში; ხელისუფლებამ დახურა აგრეთვე კომუნისტური პროპაგანდისათვის მიწების წვრილ არენდატორების სრულიად გერმანიის კავშირის განყოფილებები შტეტინში.

უმუშევართა დემონსტრაცია.

ბერლინი. 9 თებერვალი. გაიმართა დემონსტრაცია უმუშევრების. პოლიციამ არ გაატარა დემონსტრანტები, რომლებიც ცოლებით და ბავშვებით მიდიოდენ ქალაქის თვითმმართველობისაკენ.

კომპარტიის რიგებში.

ბერლინი. 9 თებერვალი. გილდენში 4 მენშევიკი ხმოსანი შევიდა კომუნისტურ პარტიაში.

მენშევიკების მუშაობა.

ბერლინი. 9 თებერვალი. მაშტინგენში ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებმა მენშევიკების ხმას უმეტესობით დაადგინეს შესწყვიტონ გაფიცვა. დორტმუნდში და დიუსელდორფში მენშევიკები პროპაგანდას ეწევიან ბრძოლის შეწყვეტის სასარგებლოდ. საგაფიცვო კომიტეტები, მიუხედავად აუტანელი პირობებისა, მოუწოდებენ გაფიცვისაკენ.

სოციალ დემოკრატიული გაზეთის დახურვა.

ბერლინი. 7 თებერვალი. ტიურინგიაში არჩევნების წინ დახურეს ორი სოციალ დემოკრატიული გაზეთი

10 საათის სამუშაო დღე.

ბერლინი. 7 თებერვალი. აღმოსავლეთ პრუსიაში და აგრეთვე საქსონიის სახელმწიფო მაღაროებში გრძელდება ლოკაუტები. მთავრობამ შემოიღო 10 საათის სამუშაო დღე საავადმყოფოების პერსონალისათვის.

რკინისგზელების კავშირის ცეკამ დაადგინა შესწყვიტოს ბრძოლა სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ, რის გამოც რკინის გზებზე 10 საათის სამუშაო დღის შემოღება ხდება წინააღმდეგობის გაუწევლად.

პოლონეთის ამბები

საყოველთაო სამხედრო ბეგარა.

ვარშავა 9 თებერვალი. სეიმმა საბოლოოდ მიიღო კანონპროექტი საყოველთაო სამხედრო ბეგრის შემოღების შესახებ. სამხედრო ბეგარა ორი წლის ვადისაა. კანონი ვრცელდება ზემო სილეზიაზედაც, რომელსაც პოლონეთის მთავრობამ აღუთქვა, რომ 8 წლის განმავლობაში გაათავისუფლებდა სამხედრო ბეგარისაგან. ზემო სილეზიის დეპუტატმა—პოლონეთის სოციალისტ. პარტიის წევრმა მინსკევიჩმა, საპლებისციტო კომისართან ცხარე შეკამათების დროს განაცხადა, რომ ზემო სილეზიის სეიმმა მიიღო დადგენილება პოლონეთის ჯარში ნებაყოფლობითი სამსახურის შესახებ მხოლოდ ერთის ხმის უმეტესობით და ისიც ვარშავის ძლიერი ზეგავლენის წყალობით მინსკევიჩმა წააყვედრა რომ პლებისციტის დროს ჩვენ ხმებს ვპოულობდით იმ დაპირებით, რომ ჯარისკაცებს არ გავიყვანდით ზემო სილეზიიდან. მე არა მსურს დავიმსახურო სახელწოდება პლებისციტის შულერისა.

ბრძოლა ხელისუფლებისათვის.

ვარშავა 9 თებერვალი. პოლიტიკური წრეების აზრით, მემარცხენე და მემარჯვენე პარტიების შორის ბრძოლა ხელისუფლებისათვის მხოლოდ დროებით მიწყნარდა. მემარცხენეები და მემარჯვენეები ემზადებიან ხელისუფლების ხელში ჩასაგდებათ, რომ დაითხოვონ სეიმი და ახალი არჩევნები მოახდინონ, მაგრამ ჯერჯერობით უცდიან, თუ რა ნაყოფს გამოიღებს გრაბსკის მიერ მიღებული ზომები, ფინანსების გამოსასწორებლად და გასაჯანსაღებლად.

საფრანგეთი და ინგლისი

ლოიდ-ჯორჯი გამოქვეყნებულ საიდუმლო შეთანხმების შესახებ.

ლონდონი. 10 თებერვალი. დღეს ლოიდ ჯორჯმა დაუბრუნა გარეშე საქმეთა სამინისტროს დოკუმენტები კლემანსოს და ვილსონის მოლაპარაკების შესახებ და წერილი, რომელშიაც მწუხარებას გამოსთქვამს მომხდარი გაუგებრობის გამო.

კლემანსო იძულებულია უარჰყოს.

პარიზი. 9 თებერვალი. კლემანსო კატეგორიულად უარჰყოფს ცნობას, თითქოს 1919 წელს მან ვილსონთან ერთად ხელი მოაწერა შეთანხმებას საფრანგეთის ხელისუფლების მიერ რეინის მარცხენა ნაპირის დაკავების შესახებ.

მაკდონალდი საიდუმლო შეთანხმების შესახებ.

ლონდონი. 9 თებერვალი. კლემანსოს და ვილსონის საიდუმლო ხელშეკრულების გამოქვეყნების გამო, მაკდონალდმა დაავალა ინგლისის ელჩს პარიზში განაცხადოს, რომ ინგლისის მთავრობამ არ იცოდა, თუ ლოიდ-ჯორჯს განზრახული ჰქონდა საიდუმლო დოკუმენტის გამოქვეყნება. გარეშე საქმეთა მინისტრები არა ერთხელ სთხოვდენ ლოიდ-ჯორჯს მისთვის გადაცემული დოკუმენტების დაბრუნებას მაგრამ უკანასკნელმა ეს თავის დროზე არ შეასრულა.

სხვადასხვა

ავსტრია.

დამშეულთა აჯანყება.

ვენა. 9 თებერვალი. ბესარაბიის ბევრ ქალაქებში, დიდი წისქვილების სპეკულიაციის გამო, ბაზარზე პური აღარ იშოვება. კიშინიოვში, პურის უქონლობის გამო, დამშეულთა აჯანყება მოხდა.

შვეიცარია.

უჩვეულო თოვლიანობა.

ბერლინი. 11 თებერვალი. ტიროლიდან იუწყებიან რომ იქ უჩვეულო დიდი თოვლი მოსულა და უკანასკნელ დღეებში არაჩვეულებრივი ზვავები ჩამოწოლილა. ალპებში თოვლის ზვავის ქვეშ მოჰყოლია 25 ტურისტი.

კომინტერნში

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება საერთაშორისო პროლეტარიატის მიმართ

მოსკოვი. 11 თებერვალი. კომინტერნის აღმასკომის მოწოდებაში ინგლისის და საერთაშორისო პროლეტარიატის მიმართ ნათქვამია, რომ **ინგლისის მუშათა მთავრობა არის პროლეტარიატის ბრძოლის შედეგი კაპიტალისტების წინააღმდეგ. ინგლისში განაგრძობს ბატონობას ბურჟუაზია. მუშათა პარტია სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას, ვინაიდან ბურჟუაზიამ ვერ გაართვა თავი ომის შედეგებს. მუშათა პარტიის პოლიტიკა ლიბერალებისაგან არის დამოკიდებული. ინგლისის მთავრობა შედგება არა თუ ისეთი პირებისაგან, რომელთაც არ ძალუძთ გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, არამედ ბურჟუაზიის აშკარა მოხრეებისაგან, რომლებიც იცავენ უკანასკნელის ინტერესებს. ეს კარგს არ უქადის ინგლისის პროლეტარიატს.**

კომპარტიას არასოდეს არ ეჯეროდა პროლეტარიატის მდგომარეობის სერიოზული გაუმჯობესების შესაძლებლობა, სანამ მუშები არ ჩამოართმევენ კაპიტალისტებს პოლიტიკურ ძლიერებას და არ შექმნიან ხელისუფლებას, რომელიც დაყრდნობილი იქნება მხოლოდ მუშურ ორგანიზაციებზე. კომპარტია არასოდეს არ ენდობოდა მუშათა პარტიის ბელადებს და მეორე ინტერნაციონალს, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. მაგრამ კომპარტიას ახსოვს, რომ, მუშათა პარტიის ბელადების გარდა, არიან უბრალო მუშები, რომელთაც გულწრფელად სწამთ მუშათა პარტიის ლოზუნგები. ამიტომ **ინგლისის კომპარტია მხარს დაუჭერს მუშათა მთავრობის ყოველ ნაბიჯს, რომელიც მიმართული იქნება მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ,** შეიარაღების შემცირებისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ.

მუშათა პარტიის ბელადები თანდათან უკან დაიხევენ თავიანთ ლოზუნგებისაგან, თუ პროლეტარიატი არ იქონიებს მასზე სერიოზულ ზეგავლენას. **კომპარტია მოუწოდებს ინგლისის მუშებს დაიცვან მუშათა პარტიის ძველი მოთხოვნილებები** და შექმნან კომიტეტები, რომლებიც იბრძოლებენ უმუშევრებისათვის დახმარების გაწევისათვის ტრედიუნიონისტების მიერ შემუშავებულ ნორმით, მაღაროების მადნის და რკინის გზების ნაციონალიზაციისათვის, მუშათა კონტროლისათვის წარმოებაზე, ირლანდიის, ინდოეთის და ეგვიპტეს სრულ თავისუფლებისათვის, შეიარაღების პოლიტიკის აღმოფხვრისათვის, საბჭოთა რუსეთისათვის კრედიტების მიცემისა და ვერსალის ხელშეკრულების გაუქმებისათვის.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

უარის თქმა პარიზის გამოფენაში მონაწილეობაზე.

მოსკოვი. 10 თებერვალი. პარიზში გახსნილი მუდმივი საკომერციო გამოფენის დირექციამ წინადადება მისცა საბჭოთა კავშირს მიიღოს მონაწილეობა გამოფენაზე თავის ექსპონატებით; ამაზე საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა უპასუხა, რომ საბჭოთა კავშირის სამეურნეო ორგანოები იძულებული არიან უარი სთქვან გამოფენაში მონაწილეობაზე, სანამ არ დამყარდება მტკიცე კანონიერი ურთიერთობა ორთავე სახელმწიფოს შორის.

მთლიანი შაქრის ტრესტი.

მოსკოვი. 10 თებერვალი. სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო შენარჩუნებულ იქნას მთლიანი შაქრის ტრესტი, ვინაიდან ტრესტის დანაწევრება სარაიონო ტრესტებად მიზანშეუწონელია.

აბრეშუმის პარკის მოსავალი.

მოსკოვი. 10 თებერვალი. **აბრეშუმის პარკის დიდი მოსავალი წელს იძლევა 15,000 ფუთ ნედლ აბრეშუმის ამოხვევის საშუალებას** ჩვენს აბრეშუმის მრეწველობას დასჭირდება წლიურად 8000 ფუთი, ამიტომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შუამდგომლობით საბაჟოს სატარიფო კომიტეტმა გააუქმა გასაზიდი ბაჟი ნედლ აბრეშუმზე.

62 გემის შეკეთება.

მოსკოვი. 10 თებერვალი. შავი და აზოვის ზღვის გემების საამშენებლო სამმართველომ ამ უკანასკნელი თვის განმავლობაში დაასრულა 62 გემის შეკეთება.

უკრაინა.

წითელი არმიის სახლის დღესასწაული.

ხარკოვი. 8 იანვარი. 20 თებერვალს დღესასწაულობს ერთი წლის თავს წითელი არმიის სახლი ხარკოვში. ეს სახლი პირველია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში. წითელი არმიის სახლმა დიდი კულტურული მუშაობა შეასრულა. ერთი წლის განმავლობაში სახლში იყო ლექციებზე თუ სხვა რაიმე დღესდინებაზე 280 000 წითელ-არმიელი. სახლთან არსებობს 7 კულტურულ განმანათლებელი წრე, დიდი ბიბლიოთეკა და სხვა.

ჯაშუშის გასამართლება

პროფესორ კლერის საქმე

ეკატერინბურგი. 11 თებერ. დაიწყო ურალის პლატინის მრეწველობის სამმართველოს გეოლოგიური ნაწილის გამგის, ურალის უნივერსიტეტის პროფესორის კლერის გასამართლება უკანასკნელს ბრალად ედება ჯაშუშობა ეკონომიურ ნიადაგზე საფრანგეთის კაპიტალისტების სასარგებლოთ და მათთვის დახმარების გაწევა, საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის დასუსტების მიზნით.

კლერი, რომელიც იცნობდა ყველა მასალებს და მათ შორის საიდუმლოსაც ურალის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ, აწოდებდა მასალებს საფრანგეთის პლატინის მრეწველობის უსახელო კომპანიის წარმომადგენელს პროფესორ დიუპარს ამ ჯაშუშობასთან იყო დაკავშირებული საფრანგეთის წ. ჯვრის მისიაც, რომელიც მუშაობდა ურალზე დამშეულთა დახმარების დროშის ქვეშ, დირექტორ დიურონგის სახით.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკის მორიგი ამოცანები

ამხ. რიკოვის განცხადება

მოსკოვი. 9 თებერვალი. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რიკოვმა „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მორიგი ამოცანების შესახებ:

„საბჭოთა რესპუბლიკას 6 წელიწადზე მეტია მეთაურობს კომუნისტური პარტია, რომელიც მომავალშიც დარჩება ხელისუფლების სათავეში, ყველაზე მძიმე წლებში საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ერებს ხელმძღვანელობდა ლენინი. **ჩვენი ამოცანა მდგომარეობს ლენინის პოლიტიკის გატარებაში**“.

ამხ. რიკოვმა განაცხადა, რომ ექვსი უკანასკნელი წლის განმავლობაში მას ლენინთან ახლო თანამშრომლობა მოუხდა სახელმწიფო მუშაობის დარგში და ორ წელიწადზე მეტი ლენინის წინადადებით, ის იყო სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე.

საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი სახელმძღვანელო ხაზი მოცემულია საბჭოების ყრილობის მიერ. ამ დადგენილებებით განსაზღვრულია საბჭოთა მთავრობის მოქმედება უახლოესი პერიოდისათვის საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა სრულის ნდობით სარგებლობს საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების მხრივ, საგარეო პოლიტიკის სფეროში საბჭოთა მთავრობა განაგრძობს ბრძოლას მშვიდობიანობისათვის და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო მდგომარეობის განსამტკიცებლად. **საბჭოთა კავშირის მთავრობა არასოდეს არ ისწრაფვოდა ტერიტორიალური გაფართოებისაკენ და არ სურს სხვა ერებზე გაბატონება.** მაგრამ საშიში მდგომარეობა ევროპაში და ვერსალის ზავის უნიადაგობა აიძულებს საბჭოთა მთავრობას დაიცვას წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობა.

საბჭოთა მთავრობის ცნობა იურიდიულად ინგლისის მიერ, განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის რადგან გამოხატავს ინგლისის მუშათა კლასის ფართო წრეების ნებისყოფას ჩვენ დაინტერესებული ვართ სხვა ქვეყნებთან მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარებაში და გაძლიერებაში, ეს ჩვენ გვესაჭიროება ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების სასწრაფოდ აღსადგენათ. მაგრამ ამ ურთიერთობათა განვითარება შეიძლება მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა ნიადაგზე. ის ქვეყნები, რომლებმაც პირველად ფიზიკურად შეაფასეს საბჭოთა კავშირის მნიშვნელობა, არ ნანობენ ამას. რაპალოს ხელშეკრულების შემდეგ ურთიერთობა გერმანიასთან სწრაფი ნაბიჯით ვითარდება ორივე ქვეყნის საკეთილდღეოთ. **აღმოსავლეთის ერების სიმპატიები და აღმოსავლეთში ლენინის სახელის პოპულიარობა არის საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის შედეგი იმის, რომ საბჭოთა ხელისუფლება გულწრფელად თანაუგრძნობს აღმოსავლეთის ერების ლტოლვას აღორძინებისაკენ.** ამ პოლიტიკას ჩვენ განვაგრძობთ მომავალშიც. ერების საბჭოს შექმნა იძლევა იმის გარანტიას, რომ მეფის მთავრობის მიერ წინათ დაჩაგრული ერების ინტერესები დაცული იქნება.

საშინაო პოლიტიკის სფეროში მთავარ ამოცანას შეადგენს ჩვენი მეურნეობის აღდგენა და განვითარება, პირველ რიგში კი ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის ბრუნვის გაძლიერება.

სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გატანამ საზღვარ-გარეთ, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწყობამ, სოფლის მეურნეობის აღდგენამ უნდა გააძლიეროს გლეხის მსყიდველობითი უნარი, რაც უზრუნველყოფს მრეწველობის ზრდას და განვითარებას. კოოპერაციის გაძლიერება, მთელი სავაჭრო აპარატის გაუმჯობესება, ზედნადები ხარჯების შემცირება მრეწველობასა და ვაჭრობაში,—ყველა ამან უნდა უზრუნველჰყოს სოფელსა და ქალაქს შორის საქონლის ბრუნვის გაძლიერება. საკავშირო საბჭოთა ყრილობის მიერ მიღებულმა ფინანსების რეფორმამ უნდა შეიტანოს ცვლილება ქვეყნის ს ქონლის ბრუნვაში [illegible] ლში ჩვენ [illegible] წველობას [illegible] აღადგენს საკუთარი ძალებით, დასავლეთ ევროპის კაპიტალის მონაწილეობის გარეშე. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან დამოკიდებულების გაუმჯობესება უფრო დააჩქარებს აღორძინებას.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებას, რომლისათვისაც მთავარ ლოზუნგს წარმოადგენს კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის.

ლენინგრადის საბჭოს პლენუმ

ამხ. ზინოვიევის სიტყვა

ლენინგრადი. 9 თებერვალი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად შემდგარ ლენინგრადის საბჭოს პლენუმზე ამხ. ზინოვიევმა სიტყვაში, რომელიც გრძელდებოდა ორი საათი, დაახასიათა ლენინი და მისი დაკარგვის მნიშვნელობა

„**ილიჩზე ლაპარაკი ნიშნავს ლაპარაკს ჩვენი ქვეყნის ბედის, საერთაშორისო კლასის ბრძოლის, მთელ ახალ კაცობრიობის, მთელ ახალ ეპოქის შესახებ, რომლის გამომხატველი იყო ლენინი—ყველა ქვეყნის მუშების ბელადი. ახალი კაცობრიობის წინასწარმეტყველი, კომუნიზმის მოციქული**“.

ამხ. ზინოვიევმა დაახასიათა ლენინი, როგორც თეორეტიკოსი—პოლიტიკოსი და აღნიშნა, რომ ლენინი იყო არა მარტო მარქსის საქმის განმგრძობი, არამედ მისი დიადი იდეების განმხორციელებელი. ლენინმა შეიტანა რევოლიუციონურ მარქსიზმის თეორიაში 5 ახალი მომენტი: 1) შეხედულება გლეხობაზე და მუშათა რევოლიუციის გაერთიანება გლეხურ ომთან; 2) სამოქალაქ ომის დაკავშირება ჩაგრულ ერთ განმანთავისუფლებელ ომთან; 3) ს ხელმწიფოს თეორია; 4) იმპერიალიზმის, როგორც დამპყრობელ კაპიტალიზმის უკანასკნელი ეტაპის შ ფასება, და 5) პროლეტარიატ დიქტატურის თეორია და პრაქტი ილიჩი დიდია, როგორც რუსი, რო გორც საერთაშორისო წინამძღოლ ის რუსია თავიდან ფეხებამდე, რო მელიც ყველაზე უკეთესად იცნო და რუსეთის მუშას და გლეხს აგრეთვე იყო საერთაშორისო რევ ლიუციონერი. საერთაშორისო რევ ლიუციონერებს ბაკუნინის, გერც ნის, ლავროვის, პლეხანოვის შორ ილიჩს უჭირავს გამოჩენილი ადგ ლი. მთელი მსოფლიოს მუშათა კლ სი ეძებდა ისეთ თავს, რომელ გაუწევდა მეთაურობას მის მისწრ ფებებს და ასეთი თავი მან იპო ლენინის სახით. ლენინის სიკვდილი ის არის ახალი ცხოვრების საძლ ორი. ასეთი დიდი ადამიანი არ იც მსოფლიომ.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების გამო

სამგლოვიარო გამოძახილი

რუსეთი.

სარაპულის ოლქის გლეხების წერილი.

ლენინგრადი. 10 თებერვ. ამხ. ძერჟინსკიმ მიიღო სარაპულის ოლქის გლეხებისაგან წერილი, რომელშიაც საყვარელ წინამძღოლის ილიჩის დაკრძალვის დღეს შეკრებილი რევოლიუციონურ ურალის გლეხები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მისი გარდაცვალების გამო, უგზავნიან გლეხთა მსოფლიო კავშირს, კომინტერნს და სრულიად საკავშირო საბჭოთა ყრილობას აღთქმას, რომ გლეხებთან და პროლეტარიატთან მჭიდრო კა შირში ისინი წავლენ ლენინის გზ და გამოსთქვამენ რწმენას, რომ სრ ლიად საკავშირო საბჭოთა ყრილობ მუშაობა ჩატარდება საბჭოთა კავშ რის სამეურნეო ძლიერების და მ შებსა და გლეხებს შორის მჭიდრ კავშირის ლოზუნგის ქვეშ.

სამძიმრის წერილები და დეპეშ ლენინის გარდაცვალების გამო

მოსკოვი. 10 თებერვ. **საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქებიდან კან და ლენინის ოჯახობის სახელ მოდის აუარებელი სამძიმრის დ**

რა ვქნათ?

საბოლოო სიტყვა

მახსოვს არალეგალური მუშაობის დროს, ორი-სამი ღამის გატარება მომიხდა მუშათა უბანში. ერთმა ძველმა მუშამ მითხრა მე—ჩვენ მოგყვებით თქვენ (ცენტრალურ კომიტეტს), ცეცხლში გადავვარდებით თქვენი მოწოდებით, მაგრამ გახსოვდეთ, არასოდეს არ გაპატიებთ თქვენ, თუ ჩვენ შემცდარი გზით მიგვყავართ.

არაფერი არ უთხარი მე მას ამაზე: ჩემთვის კი ვიფიქრე—მართალია, საქართველო არ შეჩერდება არავითარი მსხვერპლის წინაშე, მაგრამ არასოდეს არ გვაპატიებს, თუ ეს მსხვერპლი ამაოთ ჩაივლის მისთვის.

ამ მუშის სიტყვები მესმოდა ყურში, როცა აქ ვეცნობოდი პირველ მასალებს. საგანგებო კომისიაში, სხვათა შორის, კარგად სცოდნოდათ, თუ როგორ უყურებდი მე პირადათ საქართველოს საკითხს და რამდენათ იღებდა მონაწილეობას ჩემი ხელი ამ მასალებში. ყველაზე ადვილი იყო ჩემთვის დავდუმებულიყავი, თოვლივით წმინდა ხელთათმანები წამომეცვა ხელზე და არ „გავსვრილიყავი“ ამ გამოსვლებით პრესაში. მე შევქმნიდი ჩემთვის „ძლიერ“ პიროვნების რეპუტაციას და არ გავაფუჭებდი ჩემი ურთიერთობა იმათთან, ვისთანაც ახლო ვიყავი აზროვნებით და გულით.

მაგრამ მე ვიგრძენი ჩემი თავი მოვალეთ მეპასუხებია იმ მუშის სიტყვებზე და მეთქვა ყველასთვის, ვინც თვისი ბედი ჩააბარა ჩვენს პარტიას —„შეჩერდით, ეს შემცდარი გზაა“.

მე კიდევ ყველა მასალები ნახული არ მქონდა, როცა ვწერდი—„მეორე სახე პარტიისა მე შესაძლებლათ მიმაჩნია და მე მას ვეკამათები“. შემდეგ ვნახე ყველაფერი, რაც „კეთდებოდა“ პარტიის სახელით და ჩემთვის ყოველგვარი ეჭვს გარეშე შეიქნა, რომ შესაძლებელი ფაქტად იქცა. პარტია, რომელსაც წარსულში ამშვენებდენ სახელები ნ. ჟორდანიასი, სილიბისტრო ჯიბლაძისა, ირ. წერეთლისა, კ. ჩხეიძისა და სხვების, წარმომიდგა მე მახინჯი კვაზიმოდოს სახით.

მე დავინახე ყოფილ მენშევიკების გამართლება. ბევრში შეიძლება უსაყვედურო მე მათ, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ისინი, როგორც სჩანს, მართალი იყვენ, როცა შორდებოდენ იმ გზას, რომლითაც მიდიოდა პარტია ოთხნახევარი წლის განმავლობაში.

ამბობენ, კახეთის გლეხს ჰგონია, რომ მეფე ერეკლე ცოცხალია და ხშირად სვამენ მის სადღეგრძელოს. თითქოს ისევე გვემართება ჩვენ. ჩვენ არავითარ ანგარიშს არ უწევთ ობიექტიურ პირობებს, ვივიწყებთ მათ და ვკარგავთ პერსპექტივებს. აქედან ის წინააღმდეგობათა ქსელი, რომელშიც გაიხლართა ჩვენი პარტიის ტაქტიკა.

ჩვენ ინტერვენციის წინააღმდეგი ვიყავით, მუშაობა კი სწარმოებდა ინტერვენციისათვის. ჩვენ მოვითხოვდით რუსეთის ჯარების გაყვანას, ინტერვენციული პოლიტიკით კი ხელს უწყობდით იმას, რომ რუსეთს ფიქრიც კი არ შეეძლო ჯარების გაყვანაზე. ჩვენ მხარს უჭერდით საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, ფიქრი კი მიემართებოდა ანარქიის ხაზით.

ასეთი აბდა-უბდა ტაქტიკაში, როცა სიტყვა არ შეესაბამება საქმეს, როცა მარჯვენა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მარცხენა, ვიმეორებ, აიხსნება იმით, რომ ჩვენ უზრუნველი ვიყავით ძალთა ობიექტიური განწყობილების შეფასებაში და აწონ-დაწონვაში. ამაშია ჩვენი დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე. თითეულ დატუსაღებულ, გადასახლებულ მუშას, გლეხს შეუძლია გვითხრას ჩვენ, —მე არ ვგრძნობ, რომ საქართველოს ესაჭიროება ჩემი მსხვერპლი, ეს თქვენი დანაშაულია, თქვენ არ დაგვაყენეთ ჩვენ სწორ გზაზე. თითეული ქართველის პირიდან, რომელმაც ამ სამი წლის განმავლობაში მსხვერპლად გაიღო თავისი თავი, ჩვენ შეგვეძლო გაგვეგონა სამართლიანი საყვედური,—ჩემი მსხვერპლი უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდებოდა საქართველოსთვის, მაგრამ დამნაშავე ხართ თქვენ, რომლებმაც არ მოგვეცით სწორი გზა. თითეულს, ვინც დღემდი ცხოვრობს ტყეებში და მთებში, იტანს არაადამიანურ გასაჭირს, სრული საბუთი აქვს გვითხრას ჩვენ,—მე ვფიქრობდი, რომ ვემსახურებოდი საქართველოს, მაგრამ მოვიქეცი კი ბანდიტიზმის საძაგელ ჭაობში, ეს თქვენი დანაშაულია, თქვენ ვერ გვითხარით ჩვენ, რა მიმართულებით უნდა ყოფილიყო გამოყენებული ის დაუჭრეტელი ენერგია, რომლითაც დამაჯილდოვა მე ბუნებამ.

ნუ „გვაქექავთ“ ამ საყვედურებს, ვსთქვათ, სჯობს უფრო გვიან, ვიდრე არასოდეს... შეცდომა გასწორებული უნდა იქნას.

ვერავინ ვერ დამიმტკიცებს, რომ არავითარი შეცდომა არ ყოფილა, რომ ინტერვენციის, ანარქიის და ყოველგვარი ექსცესების გზას მივყავართ ჩვენ საქართველოს უკეთესი მომავლისაკენ. ამ საკითხში ჩემთვის ძნელი არ იქნება შევებრძოლო ვინც არ უნდა იყოს, აქ მე წინდაწინვე უწინასწარმეტყველებ დამარცხებას თითეულ მოწინააღმდეგეს, რა „მეცნიერული“ საბუთებითაც უნდა შეიარაღებულიყოს ის. ვერავინ ვერ დამიმტკიცებს მე, რომ ევროპა მხარს დაუჭერს საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ. პირიქით, ინგლისმა, როგორც ვხედავთ, იცნო რუსეთი და რამდენიმეთაც ჩქარა მიჰბაძავენ ინგლისის მაგალითს სხვა სახელმწიფოები, მით უფრო სასარგებლო იქნება ეს მათთვის. სიფხიზლე საჭიროა თითეული ქართველისათვის. მან ხელი უნდა აიღოს სიზმრებზე და მიხვდეს, რომ აჯანყება საქართველოში შეუძლებელია, რომ ორიენტაცია აჯანყებაზე დაღუპავს საქართველოს.

თითეულმა ჩვენგანმა უნდა გაბედოს თქმა იმის, რომ თუკინდ ამ ძალაუფლების დამხობა მოხდეს უმტკივნეულოდ, ჩვენ ვერ ჩავაყენებდით საქართველოს უკეთეს პირობებში. ნუ მოვაწერთ ხელს იმ თამასუქებს, რომელთაც ვერ გავანაღდებთ. ინტერვენციის, იარაღის ჟღარუნის გზით კი საქართველო მოექცევა ბრძოლის ქარცეცხლში და მისი ნაციონალური დამოუკიდებლობიდან ნიშან-წყალიც კი არ დარჩება.

„უკეთესია მოვკვდეთ სახელოვანი სიკვდილით, ვიდრე მონობაში გავატაროთ დღეები“, მაგრამ ინტერვენცია და მჭიდრო ერთობა რეაქციონურ ძალებთან, არაფერს, გარდა არასახელოვანი სიკვდილისა, ჩვენ არ გვიქადის.

ამიტომ არ შეიძლება ქვეყნის ბედის საკითხისადმი მიდგომა ცარიელი თავმოყვარეობის თვალსაზრისით, არ შეიძლება მუდმივათ გამეორება იმის, რომ სჯობს სიკვდილი, ვიდრე შერიგება ხელისუფლებასთან. ამაში არის მხოლოდ სილამაზე ფრაზის. სილამაზე უაზროთ და უშინაარსოთ. ვინც საზოგადოებრივი სამსახურის ასპარეზზე დგას სარკის წინ და ზრუნავს თავისი პოზის სილამაზეზე, ის უსარგებლო და საზარალოა იმ საქმისათვის, რომელსაც ის ემსახურება“.

ისმის პარტიის სახელით,—ჩვენ განვაგრძობთ სვლას იმავე გზით, ვერავითარი მსხვერპლი ვერ შეგვაჩერებს ჩვენ. მსხვერპლი, რასაკვირველია, არ უნდა აჩერებდეს, მაგრამ ხელმძღვანელები მოვალე არიან მიუთითონ იმათ, რომლებსაც მიუძღვიან წინ, თუ რომელი გზით იქნება მსხვერპლი მიზანშეწონილი და რომელით არა.

მე აქ გავეცანი იმათ, ვინც არ შეჩერებულა უმაღლესი მსხვერპლის წინაშე, ვარდებოდენ ცეცხლში და იჩენდენ [illegible]. არ ვფიქრობ, რომ მათზე ძლიერები და გამბედავები იყვენ ისინი, ვინც იქ ამბობს, რომ არ ეშინიათ მსხვერპლის... როგორც ადამიანისათვის, არავითარი ადამიანური არ არის უცხო ჩემთვის. მე არ ვარ მომხრე დიდმარხვის პოლიტიკის და არ ვიტყვი, რომ ბრძოლაში დასაშვებია მხოლოდ პირველხარისხოვანი საშუალებები, მაგრამ მარქსისტი მოვალეა ბრძოლის არც ერთ მომენტში არ ჩამოსცილდეს მუშათა კლასის და სოციალისტური მოძრაობის ინტერესებს.

მე არ ვისარგებლებ საგანგებო კომისიის მასალებით საერთაშორისო სასამართლოს წინაშე. მაგრამ მე მიამბობენ და მიამბობენ მომავალშიც, ვინ რას აკეთებდა ცენტრალური კომიტეტის დავალებით. მე ვთხოვ ამხანაგებს, კვლავ დასწერონ და გადმომცენ, თუ რა სთქვეს მათ საგანგებო კომისიისათვის მიცემულ ჩვენებაში ამ მასალების საშუალებით ჩემთვის არ იქნება ძნელი დავამტკიცო, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატია ნაციონალურ პოლიტიკაში არა თუ ჩამოშორდა მუშათა კლასის ინტერესებს, სოციალიზმსა და დემოკრატიზმს, არამედ ის დგას საქართველოს მშრომელი მასებისა და მთელი ერისათვის დამღუპველ ხაზზე. პარტიის პრინციპი—დემოკრატიის საშუალებით სოციალიზმისაკენ —უკვე გაივსო რეაქციონური შინაარსით და როცა მე მესმის პარტიის სახელით, რომ ის მომავალშიც ამავე გზით წავა, მე არ შემიძლია არ გავწყვიტო კავშირი ამ პარტიასთან.

მოვუწოდებ თითეულ მუშას, გლეხს, თითეულ მენშევიკს გადაჭრით უარყოს ეს გზა და საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის აღიაროს პროლეტარიატის დიქტატურის დროშა. ეს იყო ნათქვამი ყოფილი მენშევიკების დეკლარაციაში და ამით უნდა იხელმძღვანელოს თავის მუშაობაში თითეულმა, ვისაც კავშირი არ დაუკარგავს სოციალიზმთან.

პროლეტარიატის დიქტატურა—ეს არის საერთაშორისო სოციალიზმის იდეა და ის სავალდებულოა თითეული სოციალისტისათვის. ეს მთავარი მარქსისტული იდეა მე არ შემიძლია დავუთმო მარტო ბოლშევიკებს. ის საფუძვლად დაიდვა იმ პროგრამას, რომელიც პირველათ პლეხანოვმა და ლენინმა მისცა რუსეთის მუშათა მოძრაობას. სადაოა მხოლოდ საკითხი დიქტატურის ფორმების შესახებ. მარქსისტებისათვის ამ საკითხში არ არსებობენ ყველის შემცველი ჭეშმარიტებანი, დროისა და სივრცის გარეშე. მაგრამ რუსეთისათვის, საქართველოსათვის, არსებობს ერთად ერთი გზა: აქ მშრომელი მასები უნდა წავიდენ თავისი დიქტატურისაკენ საბჭოების სისტემის საშუალებით. საბჭოთა კონსტიტუცია თავისთავად ყველაზე უფრო დემოკრატიულია თანამედროვე ევროპის ყველა კონსტიტუციებს შორის. და თუ ეს კონსტიტუცია დღემდი სინამდვილეთ არ არის გადაქცეული, ამის მთავარ მიზეზათ უნდა ჩავთვალოთ პოლიტიკური ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

რამდენათაც ადრე დასრულდება ეს ბრძოლა, მით უფრო ადვილათ და სრულათ დამთავრდება საბჭოთა სისტემის შეთავსება მუშურ გლეხურ დემოკრატიზმთან.

მივმართავ და ვეუბნები ყველას, ვინც გამოვიდა სოციალ დემოკრატიული პარტიიდან,—დე ნუ იქნება რყევა თქვენს რიგებში, დე ნუ შედრკება თქვენს ხელში პროლეტარიატის დიქტატურის დროშა, შემოკრბით ამ დროშის გარშემო. მე ვიქნები თქვენთან.

ჩემი ღრმა რწმენით საქართველოსთვის ნაყოფიერი თანამშრომლობა შეიძლება დამყარებული იქნეს შემდეგი პრინციპების საფუძველზე.

I.

საქართველო შედის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა დღითი დღე მაგრდება. და ეს ფაქტი მიღებული უნდა იქნეს საფუძვლათ, საქართველოს ნაციონალური პოლიტიკის გამოსავალ წერტილათ. ძალით გამოსვლა საბჭოთა კავშირიდან გულისხმობს ახლა ისეთ ბრძოლას, რომელიც ჩვენ მიგვიყვანს რეაქციონურ ძალებთან გაერთიანებამდი ამ ბრძოლის ხაზზე ჩვენ ვიქნებით ინტერვენციის, ანარქიის და ხანგრძლივი ომების უეჭველი მომხრეები. ეს დამღუპველ პირობებს შექმნის საქართველოსათვის. საქართველოს ხალხს არც ერთი თავისუფალი წუთი არ ექნება მშვიდობიანი კულტურულ ეკონომიური მუშაობისათვის. ეს იქნება ნაციონალური გადაგვარების და არა პროგრესის გზა.

საქართველო ვერ ისარგებლებდა საბჭოთა კავშირიდან ნებაყოფლობით გამოსვლის უფლებითაც ცალკე სახელმწიფოებრივი ყოფა თავისთავად არ წარმოადგენს ნაციონალური დამოუკიდებლობის ამომწურავ პირობას. ერს შესაძლოა ჰქონდეს თავისი ცალკე სახელმწიფო აპარატი, არსებითად კი იქნება დამოკიდებული სხვა სახელმწიფოებისაგან. თანამედროვე საერთაშორისო პირობებში დამოუკიდებელ სახელმწიფო ყოფაში საქართველოს არ ექნება თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარანტია, პირიქით, ის იძულებული იქნება დაეყრდნოს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს და გადაიხადოს სრული ეკონომიური დამონებით იმ „მფარველობისათვის“, რომელსაც ისინი გაუწევენ მას რუსეთის წინააღმდეგ, რომ ასეთი მფარველობა ობიექტიურათ შესაძლებელი იყოს. საქართველო გახდება უცხოეთის პოლიტიკის ობიექტი უფრო მეტად ვიდრე პოლონეთი, ჩეხო-სლოვაკია და სხვები.

წინამდებარე ისტორიულ ეპოქაში ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობა არ შეიძლება იყოს დასაყრდნობი წერტილი ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ეროვნული მოძრაობა გაიმარჯვებს, როგორც მშრომელთა მასების მოძრაობა, ან სრულიად ვერ გაიმარჯვებს. ეროვნულ დამოუკიდებლობის გარანტიად შეიძლება იყოს მხოლოდ ძლევამოსილი პროლეტარული რევოლიუცია, მას შეუძლია დაემყაროს მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას.

საბჭოთა სისტემას მივყავართ ასეთ დიქტატურისაკენ. საქარ. ეროვნული პოლიტიკა უნდა იქნას მიმართული მხოლოდ და მხოლოდ ამ სისტემასთან შეთავსების ხაზით. საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი ფრონტი უნდა დაუპირდაპირდეს ყოველგვარ იმპერიალისტურ, ფაშისტურ-მონარქისტულ საფრთხეს, რომელიც უმზადებს საქართველოს გამოუსწორებელ უბედურებებს. ინტერვენციის უარყოფა, აქტიური იდეური ბრძოლა ინტერვენციონისტულ პოლიტიკის და იმ პარტიების წინააღმდეგ, რომლებიც ამ პოლიტიკას აწარმოებენ, ომი ინტერვენციის წინააღმდეგ, თუ ინტერვენცია ფაქტი გახდება, ეს არის ერთად-ერთი შესაძლებელი და აუცილებელი გზა საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობისაკენ. ანტისაბჭოთა მუშაობა აქ და საზღვარ-გარეთ უნდა დასრულდეს და წითელი არმიის ამ ერთად ერთ ამოცანასთან ერთად უნდა იქნას დაყენებული საქართველოს საგარეო საზღვრების დაცვა. ჯარების გაყვანის მოთხოვნა ინტერვენციონისტულ პოლიტიკის დროს არის რეაქციონული ნაბიჯი. პირიქით, თავის საზღვრების დასაცავად საქართველოს, შესაძლოა მოეთხოვა წითელი ჯარების დატოვება, თუ რუსეთში დაიწყებოდა სამოქალაქო ომები და იგი იძულებული იქნებოდა დროებით დაეტოვებია საქართველო.

საქართველოს უნდა ჰყავდეს თავისი წითელი არმია და მის შექმნას ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს ყოველმა ქართველმა.

II

ეროვნულ დამოუკიდებლობის მთავარ პირობათ ითვლება ეკონომიური განვითარება და საკუთარ საწარმოვო ძალთა ზრდა. საქართველომ უნდა გამოიყენოს ამ მხრივ საბჭოთა კავშირი და აიცილოს თავიდან კოლონიად გადაქცევა, რომელიც იქმნება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში წარმოშობილ ბურჟუაზიის იმავე კავშირის ჩარჩოებში. სამეურნეო აღმშენებლობაში გამოყენებულ უნდა იქნას კომპარტიის 12 ყრილობის რეზოლიუციების პრინციპები. ამ პრინციპების პრაქტიკულად გატარება მოგვცემს დღევანდელ პირობებში საქართველოს ეკონომიურ დამოუკიდებლობის საკმაო გარანტიას. საკავშირო თანამშრომლობა უნდა იქნას გამოყენებულ ეკონომიურ ნაციონალიზაციისათვის, როგორც საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის, ისე სასოფლო-მეურნეობის განვითარებისათვის.

საქართველომ უნდა მოიპოვოს საკმაო ნედლი მასალის ფონდი თავის მრეწველობისათვის, რათა ეს უკანასკნელი არ განიცდიდეს ნედლი მასალის კრიზისს. რუსეთის მრეწველობის წარმომადგენლობანი და კერძო პირები უნდა ყიდულობდენ და გაჰქონდეთ ნედლი მასალა საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ ორგანოებთან შეთანხმებით.

ფინანსიური დახმარება, კრედიტები უნდა ეძლეოდეს არა მარტო ძვირფას კულტურის მცენარეულობის მოშენებას, არამედ მძიმე ინდუსტრიის დარგებსაც.

საკავშირო სამეურნეო გეგმის ჩარჩოებში აქტიურად უნდა დაისვას საკითხი საქართველოს ბუნებრი სიმდიდრეთა დამუშავებისა (ტყვარჩ ლის ნახშირი, შირაქის ნავთი და სხვ).

მრეწველობის ფულის და საბრუნ საშუალებათა გასაძლიერებლად ს ქართველოს უნდა ჰქონდეს საკუთარ საექსპორტო ფონდი, როგორც გადაწყვეტილი იყო საკავშირო სა კომისართა საბჭოს მიერ კავშირი შემადგენლობაში შემავალ სხვადასხ რესპუბლიკებისათვის.

საბაჟო პოლიტიკის ამოცანად უ და გახდეს საკავშირო მეურნეობ დაცვა უცხოეთის კონკურენციისაგა საქართველოსათვის ეს პოლიტიკა უ და გატარდეს ისე, რათა არ გაძვირ დეს მუშების და გლეხების მასიუ მოხმარების საგნები. გაძვირება აუცილებელია მაღალ საბაჟო გად სახადების არსებობის დროს, თუ ამ ვე დროს შინაურ ბაზარზე არ მო პოვება ეს საგნები უფრო ხელ მისაწვდომ ფასებში.

ეკონომიურ კავშირის (СМЫЧК პოლიტიკა, რომელიც ტარდება რუ სეთში (ფასების დაკლება, კოოპერ ციის განვითარება) აქტიურად უნ გატარდეს საქართველოშიაც.

სახელმწიფომ უნდა მოაწესრიგო კერძო ნაღდი კაპიტალის შეზღუდ ვით წვრილ წარმოების ის დარგებ რომლებიც ამზადებენ გლეხობი მასიურ მოხმარების საგნებს.

გლეხს უნდა ჰქონდეს საშუალებ შეიძინოს ეს საგნები ნისიად დ წვრილ წვრილად გასტუმრებით.

კოოპერატიული განყოფილებებ ადგილებზე უნდა დაუკავშირდენ სო ფელს სასოფლო კომიტეტების საშუალებითაც, რათა გლეხი ნდობით უცქეროდეს კოოპერაციას და მისი საშუალებით შეიძინოს ის, რაც მისთვის საჭიროა და გაასაღოს ის, რაც ზედმეტად ითვლება მის მეურნეობაში.

სოფლის მეურნე, რომელსაც თავი მიწაზე მოჰყავს მხოლოდ წლიურ სარჩო და არ აქვს სხვა წყარო, გან თავისუფლებული უნდა იქნას ყოვე გვარ გადასახადებისაგან. გადასახადების განაწილება და აკრეფა უნ მოხდეს სოფლის კომიტეტების საშუალებით.

მთავრობამ თავისი რწმუნებულებ საშუალებით უნდა შეამოწმოს წვრილ მესაკუთრეთა შორის მიწის განაწი ლების შედეგები და გამოასწორო თუ სადმე შეცდომა იყო, დეფექ ტები და აღმოფხვრას უსამართლობ რომელიც არ გამომდინარეობს ხე ლისუფლების პრინციპიდან მიწი საკითხში.

მუშები და წერილები მუშა-კაცებისაგან ლენინის გარდაცვალების გამო.

ლენინის ხსოვნის უკვდავყოფა.

ბახმუტი. 10 თებერვ. „ნეზამოჟნიკების" საგუბერნიო კომიტეტი მოუწოდებს „ნეზამოჟნიკებს" მოაწყონ კოლექტივები კომუნისტურ საფუძვლებზე, რითაც უკვდავყოფილი იქნება ლენინის ხსოვნა. ასეთ კოლექტივების ფონდში გადადებულია 45 ათას ოქრ. მან.

ამხ. ლენინის ხსოვნას.

მოსკოვი. 11 თებერვ. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, რომ მოსკოვში არსებული ლენინის სახელობის ინსტიტუტი მიჩნეულ იქნას ერთადერთ სახელმწიფო საცავად, სადაც დაცულ იქნება ლენინის ყველა ხელნაწერები და ორიგინალური დოკუმენტები, რაც კი მის მოღვაწეობას შეეხება.

ლენინმა მთელს ქვეყნიერებას დასდო ღვაწლი.

მოსკოვი. 11 თებერ. ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკის კომიტეტის ამიერ-კავკასიის განყოფილების გამგე, ლენინის გარდაცვალების გამო გამოგზავნილ სამძიმარ წერილ სწერს: „ლენინის სახელი აღიბეჭდება ისტორიის ფურცლებზე, როგორც უდიდესი ბელადისა, უდიდესი სახელმწიფო მოღვაწისა და რუსეთის თავდადებული შვილისა.

პროლეტ. უფლებისათვის ბრძოლას დროს, ლენინმა უდიდესი სამსახური გაუწია პროგრესსა და ცივილიზაციას და ღვაწლი დასდო არა მარტო თავის სამშობლო ქვეყანას, არამედ მთელს კაცობრიობასაც.

სამეცნიერო მუშაკთა ჯგუფის წინადადება

ახალი საზოგადოება.

მოსკოვი. 10 თებერვალი. საზოგადო და სამეცნიერო მუშაკთა ჯგუფმა საბჭოთა კავშირის მთავრობას მიმართა შუამდგომლობით, რომელშიაც აღუთქვამს მას დახმარებას უცხო ინტერვენციის შედეგების გამორკვევის საქმეში და სთხოვს მას ნება დართოს დაარსოს საბჭოთა კავშირში ინტერვენციის მსხვერპლთა დახმარების საზოგადოება. მეცნიერები საბჭოთა კავშირის მთავრობას სწერენ: „ჩვენ გვინდა ჯამი გაუკეთოთ ინტერვენციის შედეგებს და საბჭოთა კავშირისათვის წარდგენილ მოთხოვნილებების საწინააღმდეგოთ წამოვაყენოთ დაღუპულთა, დასახიჩრებულთა და დარბეულთა ანგარიში."

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა და ნება დართო დაარსებულ იქნეს ინტერვენციის მსხვერპლთა დამხმარე საზოგადოება.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ლენინის სახელობის ტრამვაი.

ბაქო. 10 თებერვალი. ბაქოს საბჭოს გაფართოებულმა პლენუმმა დაადგინა პირველ საბჭოთა ტრამვაის უწოდოს ლენინის სახელობის ტრამვაი.

აზერბეიჯანის პროფკავშირთა ყრილობა.

ბაქო, 10 თებერვალი. ახლო მომავალში შესდგება აზერბეიჯანის პროფკავშირთა ყრილობა; ამის გამო ყველა კავშირები იწვევენ კონფერენციებს, რომლებზედაც ირჩევენ ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებს. ასეთივე მუშაობა სწარმოებს მაზრებშიც მსხვილ სამრეწველო სამაზრო ცენტრებში კონფერენციებზე მონაწილეობას იღებენ აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლები. გარდა მოხსენებისა და დელეგატების არჩევისა, სამაზრო კონფერენციებზე სწარმოებს აგრეთვე რწმუნებულთა გადარჩევა. აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს ყველა განყოფილებები ამზადებენ ანგარიშს მომავალ ყრილობისათვის და იმუშავებენ მომავალ მუშაობის გეგმას.

სომხეთი

აღმშენებლობა.

ერევანი. 10 თებერვალი. მეგრის სასოფლო საბჭომ ზომები მიიღო მდ. არაქსის გასწვრივ გზების ამოსაშრობად და ხელშეკრულება დასდო საკრედიტო ამხანაგობასთან, რომელმაც უნდა გაიყვანოს ქიურდების სარწყავი არხი.

ლტოლვა კომპარტიისაკენ

საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხიდან მოდის ცნობები რუსეთის კომპარტიაში მუშების მასიურად შესვლის შესახებ. მაგალითად, როსტოვში კიდევ შეიტანეს განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ 100 დე მუშამ, ჩიტაში 60 მუშამ, ვერხნე უდინსკში მეტალისტთა მთელმა კოლექტივმა 100 კაცმა, კოლომნაში 100 მა მუშამ, დაბა ოზერში 250 ფეიქარმა, რიაზანში 50 მუშამ, მათ შორის 50 წლის მუშა ქალმა კონკომმა, 35 საწარმოოს ხალხით, კრემენჩუგში 30 ტრაქტორის მუშამ, ირკუტსკში 40 მუშამ, ეკატერინოსლავის გუბერნიაში 8 თებერვლამდე შემოტანილია 2.446 განცხადება.

მოსკოვში 10 თებერვალი. 9 თებერვლისათვის მოსკოვის პარტორგანიზაციებში შეტანილია 16 589 მუშის განცხადება რ. კ. პ. შესვლის შესახებ.

მოსკოვის გუბერნიაში შეტანილია 5.000 განცხადება.

შრომის უფლება უნდა ჰქონდეს ყოველ მუშას და გლეხს, ყოველგვარ პოლიტიკურ რწმენის გარეშე, ვინც არ ებრძვის საბჭოთა ხელისუფლებას და არ შედის არც ერთ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში.

III.

კულტურულ აღმშენებლობის საკითხში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქართულ ენას. ამ ენის უპირატესობა ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში უნდა იქნას დაცული გაბედული ზომებით მათ წინააღმდეგ, ვინც ყოველდღიურ პრაქტიკაში დაარღვევს ამ უპირატესობას.

ქართული სკოლა და ქართული ბეჭდვითი სიტყვა უნდა დაუახლოვდეს სოფელს. სოფელს უნდა გაეხსნას უფასო პირველდაწყებითი სკოლა, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სახალხო სახლი, თეატრი, კინემატოგრაფი. საჭიროა გაფართოებულ იქნას წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ორგანიზაცია და კულტურული საზოგადოებები სოფელთან კავშირის დასაჭერად.

წიგნების გამომცემლობა უნდა იქნას დაყენებული მტკიცე მატერიალურ უზრუნველყოფის ნიადაგზე. სახელმწიფო გამომცემლობას უნდა მიეცეს უფრო სისტემატიური და გეგმაშეწონილი ხასიათი. უფრო მიზანშეწონილი იქნება სახელმწიფო გამომცემლობასთან სხვადასხვა სექციების დაარსება: ძველი, ახალი, თანამედროვე ლიტერატურის, კრიტიკის, მეცნიერების, ხელოვნების, მარქსისტულ ლიტერატურის, უცხოეთის თარგმნილ და ორიგინალურ სამხატვრო ლიტერატურის სექციები. ძველი ქართველი მწერლები უნდა გამოიცეს აკადემიურ გამოცემათა სახით სრულად და არა მხოლოდ მათი რჩეული ნაწარმოებები.

დამკვრელი წესით უნდა დაისვას საკითხი ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების გამოცემის შესახებ საშუალო სკოლისა და უნივერსიტეტისათვის.

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს საგამომცემლო ფონდის შექმნას სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა, ახალ მწერალთა და პროლეტარულ მწერალთა კავშირებისათვის. ფინანსიური დახმარება და კრედიტები უნდა მიეცეს კერძო გამომცემლობას.

კულტურის საკითხებს ეკუთვნის კერძოთ სარწმუნოების საკითხი. რელიგიურ ცრუ-მორწმუნეობის წინააღმდეგ საჭიროა გაბედული საპროპაგანდო-სააგიტაციო ხასიათის ბრძოლა, მაგრამ ბრძოლის მეთოდებიდან უნდა გამოირიცხოს ზეგავლენის ადმინისტრატიული ზომები. სარწმუნოების საკითხები არ შეიძლება გადაიჭრას აგრეთვე ხმების უმრავლესობით. მორწმუნეთა სრულიად უმნიშვნელო უმცირესობასაც უნდა ჰქონდეს თავის რელიგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უფლება. სარწმუნოებასთან ბრძოლის ნიადაგზე წარმოშობილ ყოველგვარ ექსცესების წინააღმდეგ მიმართული უნდა იქნას რეპრესიული ზომები.

პრესა უნდა აშუქებდეს კულტურულ-ეკონომიურ აღმშენებლობის პრინციპებს და პრაქტიკას. პრესის ხმა უნდა იქნას მოსმენილი ყველა ისეთ შემთხვევაში, როცა შემჩნეული იქნება წინააღმდეგობა პრინციპებსა და ყოველდღიურ პრაქტიკას შორის ამ პრინციპების ცხოვრებაში გატარების დროს.

თავისუფალმა კრიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს კულტურულ-ეკონომიურ აღმშენებლობას ყოველ დარგში. კრიტიკა უნდა იყოს საქმიანი და მთავარი და უსათუოდ დამყარებულ უნდა იქნას საბჭოთა სისტემაზე.

ყველაფერი ეს არა თუ არ ეწინააღმდეგება კომუნისტურ პარტიის პრინციპებს, არამედ არის ცოტად თუ ბევრად ამ პრინციპების და ეროვნულ საკითხში ყოფილ მენშევიკების დეკლარაციის კონკრეტული გამოხატულება.

ასეთ თანამშრომლობის პრინციპებზე უნდა მოეწყოს და განმტკიცდეს ახალი ეროვნული ფრონტი. ამ ფრონტს უნდა შეუერთდეს ყველა იმათი ძალები, ვინც თავის მიზნათ ისახავს სამსახურს მშრომელთა მასების ინტერესებისა და ქვეყნის ეროვნულ აღორძინებისადმი.

ვუწოდებ შორიდან ნოე ჟორდანიას—დაბრუნდი, შენ გიძახის მუშათა კლასი, რომელიც შენ მიერ ეზიარა შეგნებულ ცხოვრებას და ბრძოლას სოციალიზმისათვის. ვუწოდებ დაპატიმრებულ, გადასახლებულ, მთებში გაქცეულებს, ყველას, ვისადმიც კი მიაღწევს ჩემი სუსტი ხმა, მოდით, შესწირეთ თქვენი უნარი, ენერგია იმ დიად მუშაობას, რომელიც შეიძლება საბჭოთა სისტემის ნიადაგზე და გწამდეთ საქართველოს მომავალი.

სეით დევდარიანი.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

ძვირფასო ამხანაგებო! ა. წ. 23 თებერვალს შესრულდება 6 წელიწადი წითელი არმიის ორგანიზაციის დღიდან, ხოლო ა. წ. 25 თებერვალს 3 წელიწადი საქართველოს გასაბჭოების დღიდან. ეს თარიღები აღნიშნულ უნდა იქნან ზეიმით; მაგრამ ჩვენი საყვარელ ბელადის—ლენინის გარდაცვალების გამო დღესასწაულებს უნდა მიეცეს საქმიანი და სერიოზული ხასიათი. ჩვენი ლოზუნგია—ნაკლები გარეგნული ზეიმი, მეტი საქმიანობა. ამ დღესასწაულებისათვის საჭიროა ჯამი გაუკეთოთ მთელ ჩვენს მუშაობას საბჭოთა აღმშენებლობის ყველა დარგში.

ამ დღესასწაულების ჩასატარებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს სისრულეში მოიყვანონ შემდეგი კონკრეტიული გეგმა:

1) ამა ცირკულიარის მიღების შემდეგ ადგილებზე ეწყობა კომისიები საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავის და წითელი არმიის არსებობის 6 წლის თავის ჩასატარებლად პარტიულ კომიტეტის პოლიტ. განათლების, ახკომკავშირის, პროფკავშირების, ქალთა განყოფილების და წითელ არმიის (სადაც ასეთი იმყოფება) წარმომადგენლების შემადგენლობით მთელი მუშაობა სწარმოებს ამ კომისიებში. ეს კომისიებივე აწყობენ დღესასწაულის ჩატარების გეგმას მაზრებში, რაიონებში და სხ.

2) ყველა დიდ ქალაქებსა და დაბებში, სადაც იმყოფებიან წითელი არმიის ნაწილები 23 თებერ. საღამოს იმართება საზეიმო გაერთიანებული კრებები, რომლებზედაც გაკეთებულ იქნება მოხსენებები წითელი არმიის ცხოვრების, მუშაობის, მნიშვნელობის, ტერიტორიალურ დივიზიების და სხ. შესახებ. ამ კრებებზე უნდა იქნას მიზიდული მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა ფართო მასები. უნდა მოეწყოს აგრეთვე მუშების და გლეხების დელეგაციების მიერ წითელარმიელთა ყაზარმების დათვალიერება.

24 თებერვალს უნდა მოეწყოს სასპორტო საზოგადოებათა შეჯიბრება წითელარმიელთა მონაწილეობით. 25 თებერვალს ყველა კლუბებში უნდა გაიმართოს მუშების, წითელ არმიელების და გლეხების მასიური კრებები, სადაც გაკეთებული უნდა იქნას მოხსენებები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების სამი წლის მუშაობის შესახებ. სადაც ეს შესაძლებელია, გაიმართოს საბჭოს საზეიმო სხდომა მუშების, გლეხების და წითელარმიელების მონაწილეობით; დემონსტრაციები და ალლუმები არ იმართება.

4) ყველა თემებსა და სოფლებში 25 თებერვალს უნდა გაიმართოს გლეხთა მასიური მიტინგები, რომლებზედაც გაკეთებული უნდა იქნას მოხსენებები წითელი არმიის 6 წლის და საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავის შესახებ და ამ ერთ მოხსენებაში გაშუქებულ უნდა იქნას ყველა საკითხები. არ არის საჭირო სოფლებში 2-ჯერ მიტინგების გამართვა.

5) უახლოეს პარტიულ დღის ყველა იაჩეიკებში განხილულ და განმარტებულ იქნას სათანადო თეზისები და მოსმენილ იქნას მოხსენებები.

6) ამ მიზნით პარტიულმა კომიტეტებმა წინასწარ უნდა მოახდინონ მომხსენებლების მობილიზაცია და დააწესრიგონ ისინი სხვადასხვა კლუბებსა, თემებსა და სოფლებში და საჭიროებისდამიხედვით გადაგზავნონ ისინი ერთი რაიონიდან მეორეში.

7) საწარმოო და კულტურულ დაწესებულებათა (ფაბრიკის, სახალხო სახლის სამკითხველოს, თეატრის და სხვ.) საზეიმო გახსნა შეუფარდონ 3 წლის თავს.

8) შეფებმა უნდა შეიმუშაონ დღესასწაულის ჩატარებაში თავიანთი მონაწილეობის გეგმა. შეფები, რომლებსაც ჰყავთ თავის შეფობის ქვეშ წითელარმიელთა ნაწილები, აგზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს ამ ნაწილებში (23 თებერვალს). შეფები კი, რომელთაც ჰყავთ თავიანთ შეფობის ქვეშ სოფლები, აგზავნიან ამ სოფლებში თავიანთ წარმომადგენლებს 25 თებერვალს.

9) შეფების წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ დღესასწაულის ჩატარებაში როგორც სოფლებში, ისე წითელ არმიელთა ნაწილებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის დაკავშირებას სოფელთან, ე. ი. მუშების ეკონომიურ დახმარებას გლეხებთან. საჭიროა აგრეთვე ამ წარმომადგენლებმა თან წაიღონ ბროშიურები, პლაკატები, მოწოდებები და სხვა.

10) დღესასწაულის ერთი კვირის წინ ჩვენს გაზეთებში გაშუქებული უნდა იქნას წითელი არმიის და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიერ შესრულებული მუშაობა. ამ საქმიან წერილებში ჯამი უნდა გაუკეთდეს მთელ ჩვენს მუშაობას საბჭოთა აღმშენებლობის ყველა დარგში ამ 3 წლის განმავლობაში.

11) მოხსენებისათვის საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავის შესახებ უნდა ისარგებლონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების თეზისებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ქართველიშვილი.**

ც. კ. სააგიტ. საპროპ. განყოფილების გამგე **ორაგველიძე.**

ამხ. ლენინის ხსოვნას

მოსკოვი. 10 თებერვალი. რ. კ. პ. ცეკას წერილში, რომელიც მიმართულია მუშებისა და მუშა ქალების მიმართ, ნათქვამია, რომ პროლეტარიატის უდიდეს ბელადის დაკარგვამ გამოამოძრავა ასეული ათასი მუშები, ლენინის დაკარგვით დამწუხრებული მუშები ხელს უწვდიან პარტიას. ახალ მებრძოლების შესვლა პარტიაში ყველაზე უკეთესათ უმტკიცებს პროლეტარიატის მტრებს საბჭოთა ხელისუფლების ცხოველმყოფელობას, კომპარტიის სისწორეს და პროლეტარიატის ნებისყოფის სიმტკიცეს. ჩვენ მომავალში მოგველის დიდი ბრძოლა. ამ ჟამად კი დაღლავი შრომა მეურნეობის აღდგენისათვის. რომ გავანადგუროთ პროლეტარიატის მტრები, საჭიროა დავამარცხოთ სამეურნეო ფრონტზე ბურჟუაზია, რომელიც თანდათან იზრდება, მოვაწესრიგოთ მეურნეობა, გავამტკიცოთ კავშირი პროლეტარიატსა და გლეხებს შორის და ჩავაბათ ამ მუშაობაში ყველა შეგნებული მუშები, და არა კაპიტალისტები. უდიდესი დასაყრდენი ამ მუშაობაში არის დაზგის მუშების შესვლა პარტიაში, იმ მუშების, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ წარმოებაში. პარტია მოუწოდებს უპარტიო მუშებს და მუშა ქალებს დაეხმარონ მას ახალ მებრძოლთა კადრის გადიდების საქმეში. ამ მუშების დახმარებით პარტიაში შევლენ პროლეტარიატის საუკეთესო შვილები. გაერთიანებული ოქტომბრის დროშის ქვეშ, ლენინის ანდერძით გულში და ყველა მშრომელთა დახმარებით ჩვენი პარტია შესძლებს გადალახოს ყველა დაბრკოლებები და მიაღწიოს მიზანს, რომლისთვისაც იბრძოდნენ და კვდებოდნენ ასეული ათასი პროლეტარები.

ცეკას კამპანია

მოსკოვი. 10 თებერვალი. ცეკას პლენუმმა გამოაცხადა კამპანია დაზგის მუშების შესვლისათვის პარტიაში შემდეგი ლოზუნგებით: „დაზგის მუშებო—პროლეტარულ რევოლუციის ერთგულო მომხრეებო—შედით რუსეთის კომპარტიაში. პროლეტარებო, გაგზავნეთ პარტიის რიგებში საუკეთესო მოწინავე, პატიოსანი და თავდადებული მებრძოლები". კამპანიის ვადაა—სამი თვე. კამპანიის გეგმაშეწონილი ჩატარება—უპირველესი ამოცანაა ყველა პარტიული ორგანიზაციების. პარტიაში მიღებული უნდა იქნენ მხოლოდ დაზგის მუშები. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი იქნება წარმოდგენილი იქნეს დაწესებული რეკომენდაციები, პარტკომები ვალდებულნი არიან ერთი თვის განმავლობაში გააცნონ პარტიის წევრებს, რომელთაც უფლება აქვთ გასცენ რეკომენდაციები, პარტიაში შესვლის მსურველები. შესაძლებელია განხილული იქნეს ურეკომენდაციო განცხადებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტორგანიზაცია მუშების საერთო კრებების საშუალებით განიხილავს კანდიდატურებს. სასურველია წინასწარი მსჯელობა კანდიდატების შესახებ მუშების საერთო კრებაზე; კანდიდატების დაფასებაში საჭიროა მონაწილეობა მიიღონ უპარტიოთა ფართო მასებმა. თვითეული კანდიდატურა განხილული უნდა იქნეს ცალკე, განსაკუთრებით დაწვრილებით განხილული უნდა იქნეს სხვა პარტიების ყოფილ წევრთა კანდიდატურები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა ახალგაზრდობის ჩაბმას პარტიაში.

ცეკა აუცილებლათ სცნობს, რომ პოლიტიკურ ცოდნის სკოლების და კანდიდატების მთავარი ყურადღება მიექცეს პარტიის ისტორიას, პარტიის ისტორიაში უდიდეს როლს თამაშობდენ ლენინის ხელმძღვანელი იდეები. პარტორგანიზაციები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ პარტიაში შემსვლელთათვის ამ სკოლების კურსის ჩქარი და სისწორით გავლა.

იუსტიციის კომისარიატის უჯრედში

იუსტიციის სახ. კომისარიატში შესდგა პარასკევს, 8 თებერვალს კომუჯრედის სხდომა, რომელსაც დაესწრენ როგორც პარტიული, ისე უპარტიო ამხანაგები.

ამხანაგმა კარტოზიამ გააკეთა მოხსენება ჩვენი ფინანსიური პოლიტიკის შესახებ; მან მკაფიო და გასაგები ენით აუხსნა დამსწრეებს მეტად რთული საკითხები საბჭოთა კავშირის ეკონომიურ-ფინანსიური პოლიტიკისა. კრებამ დიდი ყურადღებით მოისმინა მოხსენება და აუარებელი შეკითხვებით კიდევ უფრო უკეთ იქნა გაშუქებული საკითხი. კრება გაგრძელდა საღამოს 5 საათიდან ღამის პირველ საათამდე.

უპარტიო ამხანაგები მეტად კმაყოფილი დარჩენ მოხსენებით და კამათით ერთმა უპარტიო ამხ. მითხრა: ეს კრება კი არ ყოფილა, არამედ თვითგანვითარება და სწავლა ერთმანეთისაგანო. სასურველია ასეთი საინტერესო მოხსენებები კომუჯრედების ღია სხდომებზე ხშირად კეთდებოდეს.

ნერონი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.

(12 თებერვალი)

	მილ.
ჩერვონცები — —	2 150,000 ათ
ფუნტ სტერლინგ. ეფექტ	2 010,000
ჩეკები	-1.950 000
დოლარი ეფექ.	—475 —
ჩეკები	—440 —
ოსმ. ქაღ. ლირა	—287 —
იტალიური ლირა	—20 —
ფრანგული ფრანკი	—21 —
საბჭ. ფულის ნიშნები	—16 ნახ.

მოსკოვის ფასები.

(12 თებერვალი)

პური 1 ხარ 13,000, პური 2 ხ. 10000, ძროხის ხორცი—45000 ათ ღორის ხორცი—42000 ათ. შაქარი რაფინადი 83 500 ათ. ფხვნილი შაქარი—59,000 ათასი, კარტოფილი—3500 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(12 თებერვალი)

პური 1 ხ.—17000 ათ., პური 2 ხარ.—14000, ძროხის ხორცი 60000 ათ. ღორის ხორცი 55000 ათ., შაქარი რაფინ. 85000 ათ., შაქარი ფხვნილი 60,000 ათ., კარტოფილი 4500 ათ.

ბირჟის მიწოდება

ბამბის თესლი, „ცენტროსოიუზ"-ის ჩაი, ფრიზონი, სახურავი რკინა (ინგლ.) თხილი ზაქათალის, ნედლი აბრეშუმი, ცინკი, სპილენძი ფურცლოვანი, „სახაროტრესტ"-ის პროდუქცია, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია, ხორბალი და პურეული, შვეიცარული ყველი, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის შუშები, კაუსტიური სოდა.

ბირჟის მოთხოვნილება.

ნედლი ტყავეულობა, რუს. მანუფაქტურა, მაკარონი და ვერმიშელი 1 და 2 ხარ. ყუბანის ფქვილი, სახურავი რკინა, შაქარი რაფინ. და ფხვნილი, სალომასი, პორტლანდის ცემენტი, ჩაი, ასანთი, ქვა-მარილი ნახიჩ.

ოფიციალური გარიგებანი.

სალომასი—8 მ. 75 კ. ფუთ., ფრანკო-კრასნოდარი.

შაქარი რაფინადი (დახერხილი)—14 მ. 70 კ. ფ. და ფხვნილი—10 მ. 65 კ., ფრანკო-გამყიდვ საწყობი.

ფეხსაცმელები (ხრომი)—26 მ და შევრების—17 მ. წყვილში, ფრანკო-გამყიდველის საწყობი, ტყავეულობა („კოჟსინდიკატ"-ის)—1826 მ 37 კ. თანხისა, ფრანკო „კოჟსინდიკატ"-ის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება დაცხოველებულია.

საბინაო სამშენებლო ამხანაგობათა ცენტრალური კავშირის შუამდგომლობა.

საბინაო სამშენებლო ამხანაგობათა ცენტრალურმა კავშირმა მიმართა ცენტროსოიუზის ა. კ. განყოფილებას განცხადებით, რათა იგი მიღებულ იქნეს ცენტროსოიუზის ა. კ. განყოფილების შემადგენლობაში. ა. კ. განყოფილებამ სასურველად სცნო ეს შესვლა და დაადგინა ეს საკითხი გადაეცეს საბოლოო დასამტკიცებლად „ცენტროსოიუზ"-ის გამგეობას და ა/კ კოოპერატიულ მორიგ კონფერენციას.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(12 თებერვალი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	—2.150 000,	60 კ.	—129 000.000
2 „	—4.300.000,	70 „	—150.500.000
3 „	—6 450.000,	80 „	—172 000.000
4 „	—8.600.000,	90 „	—193 500.000
5 „	—10 750.000,	1 მ.	—215 000.000
6 „	—12 900.000,	2 „	—430.000.000
7 „	—15.050.000,	3 „	—645 000.000
8 „	—17 200 000,	4 „	—860 000.000
9 „	—19 350.000,	5 „	—1.075.000.000
10 „	—21 500.000,	6 „	—1.290 000.000
20 „	—43 000.000,	7 „	—1 505 000.000
30 „	—64.500.000,	8 „	—1.720.000.000
40 „	—86 000.000,	9 „	—1.935 000.000
50 „	-107.500.000,	1 ჩერ.	2,150.000.000

ცხვრის ყვავილი შირაქში

როგორც მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსის" ქიზიყს განყოფილების გამგე ზაალიშვილი იტყობინება, ს. ტიბაანის და ს. ქედლის მცხოვრებთა, ცოფლაშვილის, ზურაბელის და ყაჭიშვილის ცხვარს გაუჩნდა გადამდები სენი—ყვავილი.

ავად არის 92 სული და რამდენიმე სულიც უკვე მომკვდარა კიდეც.

ცხვრის პატრონებს დახმარებისათვის მიუმართავთ მკითხავებისათვის, რომლებსაც შეულოცნიათ, მაგრამ შელოცვას არ გაუჭრია და ზაალიშვილი სთხოვს ამხანაგობა „მწყემს"-ს ტფილისში სათანადო ზომების მიღებას.

ამხანაგობა მწყემსმა ეს ამბავი აცნობა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სავეტერინარო სამმართველოს. სამმართველომ სწრაფად გაგზავნა შირაქში ავადმყოფობის გამოსაკვლევათ და სათანადო ზომების მისაღებათ ექიმი-ვეტერინარი და ბაქტერიოლოგი ი. ხუციშვილი, რომელსაც გარდა ამისა დაევალა ცხვრის ყვავილის ჩირქის (virus) ჩამოტანა ასაცრელ მასალის (ოვინა და კაპრინა) დასამზადებლად,

ამხანაგობა „მწყემსი" სიამოვნებით შეხვდა სავეტერინარო სამმართველოს განზრახვას და აღუთქვა მას უსასყიდლოთ ოცი ცხვარი, საჭირო ასაცრელ მასალის დასამზადებლად ყვავილის წინააღმდეგ.

საქმე, დაწყებული ამხანაგობა მწყემსის და სავეტერინარო სამმართველოს ინიციატივით, იმედია კეთილათ დაგვირგვინდება და ცხვრის უმთავრესი მტერი „ყვავილი" ისევე იქნება დაძლეული ჩვენში, როგორც არის დაძლეული მსხვილფეხა საქონლის ჭირი და ციმბირის წყლული.

ექიმი ვეტერინარი **მირიანაშვილი.**

პროფკავშირებში

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მეორე ყრილობა

ყრილობის გახსნა.

შაბათს, 9 თებერვალს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კლუბში (აბას-აბადის ქ.) გაიხსნა საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მეორე ყრილობა. ყრილობა გახსნა ბიუროს პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. გიულუმიანმა, რომელიც წინადადებას აძლევს დელეგატებს ფეხზე ადგომით პატივი სცენ ამხ. ლენინის ხსოვნას.

პრეზიდიუმის არჩევა.

კომფრაქციის წინადადებით პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ავენირი, ანჩარსკი, ვარსამაშვილი, გიულუმიანი, დიმანტი, ნიკ. კიკნაძე, მეძმარიაშვილი, პავჩინსკი.

სამანდატო კომისიაში: დიანოგორცევი, კომაროვი და წულაძე,

სამდივნოში: აბასოვი, ბუაჩიძე და კუზმინა.

სარედაქციო კომისიაში: დიმანტი, კიკნაძე და მარქარიანი.

დღის წესრიგი.

ყრილობამ დაამტკიცა დღის შემდეგი წესრიგი: 1) საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, 2) საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიუროს მოქმედების ანგარიში, 3) მომავალი მუშაობის გეგმა—მომხსენებელი ამხ. გიულუმიანი, 4) მოხსენებები ადგილებიდან, 5) სექციის კულტმუშაობა—მომხსენებელი ამხ. ავენირი, 6) მუშკორთა ორგანიზაცია—მომხსენებელი ამხ. კუზმინა, 7) საქ. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიუროს არჩევნები.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ წაკითხულ იქნა მიღებული მისასალმებელი დეპეშები ბაქოს მუშათა გაზეთ „ტრუდ"-იდან და ბაქოს სამრეწველო რაიონების მუშებიდან.

მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე.

(მომხსენებელი ამხ. ვირაპი).

მომხსენებელი იძლევა კაპიტალისტური ქვეყნების დღევანდელ ეკონომიურ-პოლიტიკური მდგომარეობის ვრცელ ანალიზს და ამასთან დაკავშირებით მარტავს ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის მიზეზებს. შემდეგ მომხსენებელი ჩერდება საერთაშორისო პოლიტიკის პერსპექტივებზე და დაასკვნის, რომ ახლო მომავალში მთელი კაპიტალისტური ქვეყანა იძულებული გახდება იცნოს საბჭოთა კავშირი. დასასრულ მომხსენებელი გამოსთქვამს თავის შეხედულებას, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს კაპიტალისტური ევროპის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას.

ამხ. ვირაპის შემდეგ მოხსენებას კითხულობს ამხ. გაულუმიანი.

ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ საქართველოში

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ორგანო „ბიულეტენი" შემდეგს გადმოგვცემს: საქართველოს წითელი ჯვრის თხოვნით საერთაშორისო კომიტეტი იკვლევს ღონისძიებათ, თუ როგორ დაეხმაროს საქართველოს მალარიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის შესახებ საერთაშორისო კომიტეტმა უკვე აცნობა შეერთებულ კომისიას მის 8, 25 და 30 ნოემბრის სხდომაზე. ერთმა ლიგის ექსპერტმა დ-რმა პანტალეონმა დაასკვნა, რომ 1500 ინგ. გირვ. საკმაოა, საქართველოში მისიის გასაგზავნად და იხსნას ამ სენისაგან 15.000 კაცი.

საერთაშორისო კომიტეტი სცდილობს ამ თანხის გადადებას და სთხოვს ცნობილ საერთაშორისო დაწესებულებებს, რათა მათაც მიიღონ მონაწილეობა ამ მისიაში. იტალიის წითელი ჯვარი ატყობინებს საერთაშორისო კომიტეტს, რომ იგი მზადაა დაეხმაროს საქართველოს წითელ ჯვარს მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველი ყოველნაირი წამლით თვით-ღირებულების ფასად. სინდიკატების საერთაშორისო ფედერაცია, რომელმაც შეაგროვა მრავალი წამლობა საქართველოსთვის, მოწვეულია ამ მისიაში მონაწილეობის მისაღებად.

მეცნიერება და ტექნიკა

რკინის დაცვა დაჟანგვისაგან.

დღემდი რკინისა და რბილი ფოლადის დასაცავად დაჟანგვისაგან არსებობდა მხოლოდ ორი საშუალება: მათი შეღებვა ან გალვანიზაცია. პირველი საშუალება თუმცა დიდ ხარჯებს არ მოითხოვს, მაგრამ ხანგრძლივად ვერ დაიცავს რკინას დაჟანგვისაგან, რადგან საღებავი ჩქარა შორდება ლითონს; გალვანიზაცია კი ძვირი ჯდება—ეს ერთი და მეორე -საიმედოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რკინის ნივთი მთლიანად იქნება დაფარული ნალექით, რომელიც არ იჟანგება. რაც შეუძლებელია, თუ საგანი დიდია, მაგალითად დიდი შენობა.

საზღვარ-გარეთ უკანასკნელ წლებში ფართე გავრცელება ჰპოვა ახალმა საშუალებამ რკინის დასაცავად დაჟანგვისაგან, რომელსაც მეტალიზაცია ეწოდება.

ეს ახალი საშუალება, მეტალიზაცია შემდეგში მდგომარეობს: რკინას ფარავენ გამდნარი ლითონის ნალექით. დაფრქვევა ხდება მანქანის საშუალებით, რომელიც მოქმედობს შეკუმშული ჰაერით და ჰპანტავს გამდნარი ლითონის სითხეს. იმისდამიხედვით, თუ რა დანიშნულება აქვს რკინას, მას ჟანგვისაგან დასაცავად ფარავენ ბრინჯაოთი, თუთიით, ალუმინით, ტყვიით და სხვა.

მეტალიზაციის მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი გამოყენება შეიძლება ყოველ პირობებში და ყოველი ზომის საგნების მიმართ.

სითბოს რაოდენობა სხვადასხვა სათბობ მასალაში.

გერმანიის ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში მოთავსებულია შემდეგ საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენ სითბოს შეიცავს სხვადასხვა სათბობი მასალა. ეს ცნობები შეკრებილია ბავარიის ნახშირის სინდიკატში.

ქვემოდ მოყვანილი ცხრილიდან სჩანს რამდენი სათბობი მასალა არის საჭირო 100,000 კალორი*) სითბოს მისაღებად.

ასი ათასი კალორი სითბოს მისაღებად საჭიროა დაიწვას:

შეშა ნედლი . . .	42 კილოგრამი**)
შეშა მშრალი . . .	27 „
ტორფი მშრალი . .	25 „
რურის ქვანახშირი .	14 „
დონის ქვანახშირი .	12 „
სპირტი	14 ლიტრი
ნავთი	11 „

ავტომობილი—ნავი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ამერიკაში გამოსცადეს ახალი ავტომობილი შეიარაღებული ერთი 75 მილიმეტრიანი სწრაფ-მსროლელი ზარბაზნით.

ეს არის ავტომობილი—ნავი, რომელსაც შეუძლია მოძრაობა როგორც ხმელეთზე, ისე წყალში. წყალში ავტომობილი ნავი გაივლის საათში 10 ვერსს, ხმელეთზე—50-ს.

---

*) კალორი ეწოდება სითბოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ერთი გრამი წყლის გასათბობათ ცელსის ერთ გრადუსზე.

**) კილოგრამი—2 ნახ. გირვანქა.

ქრონიკა

— **უმუშევართა საყურადღებოდ.** შემჩნეულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოდიან ქიათურაში შრომის მაძიებელი პირები სამუშაოს მისაღებად მაშინ, როდესაც თვით ქიათურაში ადგილობრივ უმუშევართა რიცხვი დიდია. ეს მდგომარეობა ერთი მხრივ იწვევს ადგილობრივ შრომის ორგანოს ზედმეტად დატვირთვას და მეორე მხრივ ჩამოსული უმუშევრები ბინის უქონლობისა და სამუშაოს მიუღებლობის გამო ცუდ პირობებში ვარდებიან. ზემოხსენებულის გამო საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი შრომის ყველა მაძიებელ პირების საყურადღებოთ აცხადებს, რომ ქიათურაში სამუშაოს საძებნელად ტყუილად ნუ გამგზავრებიან.

— **ექიმთა მეორე სამეცნიერო კონგრესი.** ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება მიმდინარე წლის მაისის შუა რიცხვში იწვევს ქ. ტფილისში სრულიად საქართველოს ექიმთა მეორე სამეცნიერო კონგრესს.

საპროგრამო საკითხებად გამოცხადებულია ტუბერკულოზი და მალარია. გარდა ამისა მოსმენილი იქნება მოხსენებები სხვადასხვა დარგიდან.

ყველა საკითხებზე კონგრესის შესახებ უნდა მიმართოთ თავმჯდომარეს პროფესორ ღამბარაშვილს და მდივანს ექ. გიორგი რუხიშვილს.

— **საექიმო პუნქტი ხევსურეთში.** ხევსურეთში 2 საექიმო პუნქტის შესანახად—სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა 59 680 მან. და 52 კაპ. ჩერვ. რაოდენობით.

— **სახელმწიფო გამომცემლობისათვის.** საქ. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობის 1923—24 წ. წ. ხარჯთ-აღრიცხვა—სამეცნიერო პედაგოგიურ ყოველთვიურ ჟურნალის და მარქსისტულ ლიტერატურის გამოსაცემათ, საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა 295,873 მან. 76 კაპ. ჩერვ. რაოდენობით.

— **საკურორტო სამმართველო.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ, საკურორტო სამმართველოს შტატი განსაზღვრა 139 მომუშავით და დაამტკიცა მისი ხარჯთ-აღრიცხვა 46,351 მან. და 20 კ. ჩერ.

— **წიგნების გასაიაფებლად.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა მიღებულ იქნას ზომები სახელმწიფო გამომცემლობის საბრუნავი თანხის გასაძლიერებლათ და წიგნების გასაიაფებლათ.

— **საექიმო საქმე სვანეთში.** ჯანმრთელობის კომისარიატი იმუშავებს გეგმას სვანეთში საექიმო-სამკურნალო საქმის მოწყობის შესახებ, სახელმწიფო მომარაგების ხარჯზე.

— **მოსამსახურის დათხოვნის შესახებ.** ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით მოსამსახურის ადგილიდან დათხოვნის უკანასკნელ დღეთ ჩაითვლება ის დრო, როდესაც იგი გატარდება დათხოვნის ბრძანებაში.

— **საბჭოთა მუშაკების ხელფასის გადასინჯვა.** ა/კ. შრომის კომისარიატმა დაადგინა დაარსოს განსაკუთრებული კომისია საბჭოთა მუშაკების ხელფასის გადასასინჯად.

— **ფერშლების გამოცდა.** ჯანმრთელობის კომისარიატი უახლოეს მომავალში გამოსცდის იმ ფერშლებს, რომელთაც უნდათ მიიღონ მკურნალის ხარისხი. გამოცდებზე დაშვებული იქნება ის ფერშალი, რომელსაც 10 წ. უმსახურია რომელიმე თემში, ან 5 წელიწადი საავადმყოფოში.

— **პოლიტ-კატორღელთა საზოგადოებაში** კვირას, 17 თებერვალს, დილის 10 საათზე პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა სრულიად რუსეთის საზოგადოების ტფილისის განყოფილების ბინაზე (ლენინის ქ. 29) მოწვეულია საზოგადოების წევრთა წლიური საერთო კრება. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება საბჭოს მოღვაწეობის შესახებ, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) დელეგატების არჩევა საზოგადოების სრულიად რუსეთის ყრილობისათვის, რომელიც მოწვეული იქნება ა/წ. 12 მარტს, 4) საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევა, 5) მიმდინარე საქმეები. წევრების დასწრება სავალდებულოა.

— **გაერთიანებული სამხედრო სკოლა.** ა/კ. ფინანსთა კომისარიატის რწმუნებულთან არსებულ საბიუჯეტო თათბირის მიერ შემუშავებული და წარდგენილი ხარჯთ აღრიცხვა 1923—24 წლების, გაერთიანებულ სამხედრო სკოლისთვის, დამტკიცებულ იქნა 12,000 მ. ჩ. რაოდენობით.

— **ტანსავარჯიშო დარბაზების და მოედნების მოსაწყობად.** საქ. სახ. კომ. საბჭომ ტანსავარჯიშო დარბაზების და მოედნების მოსაწყობად გაიღო 49,525 მ. და 92 კ. ჩერ.

— **ქაღალდის შეძენა საზღვარგარეთ.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა სახელმწიფო გამომცემლობის საჭიროებისათვის საზღვარგარეთ შეიძინოს საწიგნო ქაღალდი.

— **შემნახველი კასები ფოსტა-ტელეგრაფებთან.** განზრახულია შემნახველ-გამსესხებელი კასების მოწყობა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებთან როგორც ცენტრში, ისე პროვინციებში.

— **ფულის გადაგზავნა შემნახველ-გამსესხებელ კასების საშუალებით.** ახლო ხანში შემნახველ-გამსესხებელ კასების საშუალებით მოეწყობა ფულის გადაგზავნა პროვინციებში კურსის შენარჩუნებით.

— **თვითშრომელთა საზოგადოება.** თვითშრომელთა საზოგადოებამ ხელოსან ინვალიდების აღრიცხვა გადადო 20 თებერვლისათვის.

— **სათეატრო ხელფასი.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა გადასინჯოს სათეატრო ხელფასის ტარიფი სახ. გამომცემლობის სახელმძღვანელოთ.

— **შრომის ბირჟა.** 9 თებერვალს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 281 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—112, მოთხოვნილება იყო—37, სამუშაოზე გაიგზავნა—42.

— **შრომის მოთხოვნილება.** ინტელიგენტურ ოჯახში ორი ბავშვისთვის (13 სა და 15 წლის) საჭიროა გამოცდილი გუვერნიორ-მასწავლებელი. იკითხეთ 4-5 საათამდე, რუსთაველის პროსპექტზე № 25 თალაქვაძე.

შემთხვევები.

— **მკვდრების მძარცველების შეპყრობა.** თათრების სასაფლაოზე შემჩნეული იყო მკვდრების ამოთხრა და მათი გაძარცვა (ტანისამოსის გახდა, ჩატანებული ნივთების წაღება და სხ.). მიღებული ზომებით 7 თებერვალს შეპყრობილი იქნენ ორი უცნობი ბოროტმოქმედი ადგილობრივ ერთ ერთი მკვდრის გაძარცვის დროს.

— **ქურდობა.** 8 თებერვალს, კათოლიკების ქ. № 10 გაქურდული იქნა ექიმი მიხეილ გრიგოლის ძე არეშოვის ბინა, საიდანაც წაიღეს სხვადასხვა ტანისამოსი და ნივთები 35 ჩერვონეცის.

— **ცეცხლი.** 10 თებერვალს შერემეტიევის ქუჩა № 37 მდებარე სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ცეცხლის მქრობელი რაზმის მიერ ჩქარა იქნა ჩაქრობილი.

ხელოვნება

ტასო აბაშიძის იუბილე

10 თებერვალს ჩვენმა ხალხმა ღირსეულათ იდღესასწაულა ტასო აბაშიძის მოღვაწეობა ქართულ სცენაზე ოცი და ხუთი წლის განმავლობაში.

ეს იყო გაგრძელება იმ საუცხოვო ეპოპეისა, რომელიც იქმნება აბაშიძეთა ოჯახით ქართულ თეატრის ცხოვრებაში.

ხალხის გულწრფელმა დაფასებამ და სიყვარულმა საზეიმო სილამაზით იფეთქა ამ საგანგებო დღესაც.

რუსთაველის თეატრი ზღვრით პატარა გამოდგა ამ ზღვა ხალხისათვის, რომელიც სტიქიასავით მოაწყდა იმ საღამოს საყვარელი ადამიანის პატივსაცემლად.

ცხრა საათზე დაიწყო წარმოდგენა. მიდის „პარიზელი ბიჭი". იუბილიარი ასრულებს თავის სანიმუშო როლს—ჟოზეფისას. აქვე იღებდენ მონაწილეობას მისი სახელოვანი მშობლები მაკო საფაროვა აბაშიძე და ვასო აბაშიძე.

ყველა მათგანის გამოსვლა სცენაზე იწვევს უსაზღვრო აღტაცებას და ტაშისცემას.

ტასოს დანახვას თან მოსდევს ყვავილებისა და გვირგვინების წვიმა.

მუშათა ცხოვრება

აუცილებლად უნდა აილაგმონ

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელ-სადგურის მოწყობისათვის მუშაობს დღისდღეობით დაახლოვებით 1500-დე მუშა-მოსამსახური. მიუხედავად იმისა, რომ ჰიდრო ელ-სადგურის მომწყობმა კომიტეტმა გააშენა საცხოვრებელი ბინები და უკანასკნელით ყველას დაკმაყოფილება შეუძლებელი გახდა, ამისათვის უბინაოდ დარჩენილებმა მიმართეს მახლობელ ოდესღაც ყოფილ ქალაქ „მცხეთას".

ბ-მა სახლის პატრონებმა, მიიღეს რა მხედველობაში ჩვენ მიერ ოჯახის მიტოვება და გადმოხვეწა სამუშაოდ, ისარგებლეს შემთხვევით და სრულიად შეუგნებლად საშინელი ფასები დაადვეს ბინებს.

ჩვენ იძულებული შევიქენით მიგვეღო 4—5 საჟენ მანძილი პატარა ოთახში (2 საჟ. სიგრ. 3 საჟ. სიგანე), მასთანაც სახლის პატრონი პირობას თხოულობს—„თუკითუ 2 სულზე მეტი იცხოვრებთ ერთად, ზედმეტი უნდა გადიხადოთო". ამრიგათ გვიხდება ჰიდრო ელ სადგურის მოწყობისთვის მომუშავეთ, თვიურ ჯამაგირის მე-5-დის მხოლოდ ბინის ქირაში მიცემა, ასეთი პირობებით უკმაყოფილონი ვართ, რადგანაც, როგორც საბჭოთა მოსამსახურენი, ვერ ვსარგებლობთ იმ დადგენილებებით, რომლითაც სარგებლობენ საერთოდ მუშა-მოსამსახურეები. საჭირო არის უკანასკნელს მიექცეს სათანადო ყურადღება, სახლის პატრონთა მადის შეკვეცით, ამით შეძლება მოგვეცემა ჯამაგირის საფასურით დავფაროთ სხვა 1-ლი უსაჭიროესი მოთხოვნილებები, რაიც ხელს შეგვიწყობს ელ-სადგურის დამთავრებისათვის მუშაობის ენერგიულად გაგრძელებაში.

რ. ხვანიძე.

—

ასეთი უმზგავსოება არ უნდა განმეორდეს.

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ)

13 იანვარს ვარანცოვიდან მიხაილოვის ქუჩით, ერთი მსუბუქი ავტომობილი და მოტოციკლეტი შეეჯიბრა ერთმანეთს.

მოტოციკლეტი უკან მოექცა და როგორც ქარი ისე მიჰქროდა ორივე ამ გიჟურ [illegible] კი ისეთი ბუქი დააყენა ქუჩაში, რომ ტროტუარზე მიმავალი ხალხიც კი გზას ვერ იკვლევდა. განა ასეთი „მასხრობის" მაყურებელი ცოტაა თავისუფალ შოფერებისა?! ნუ თუ შეუძლებელი შეიქნება ამ ჯენტლმენების ალაგმვა? ჩვენის აზრით ეს უნდა მიეწეროს მილიციონერების სისუსტეს.

ინჟ. იგი.

—

ჩათახის ქარხანაში

(ჯანსახკომის საყურადღებოდ)

ჩათახის ქარხანა ტფილისიდან კარგ მანძილზეა დაშორებული (72 ვერსი) ბორჩალოს მაზრაში—მივარდნილ ალაგას, რომელსაც ირგვლივ ტყე არტყია. აქ, ამ ქარხანაში ბლომად იმყოფებიან მუშები, რომელთა შორის არიან ისეთიც, რომელნიც ოჯახობით სცხოვრობენ ქარხანასთან. ქარხანას ყავს თავისი ფერშალი, არის ცოტაოდენი წამლები და მედიკამენტები, მაგრამ ეს საქმეს არ შველის, რადგანაც აქ საჭიროა გამოცდილი ექიმის ხელი. იყო შემთხვევა, რომ მუშაობის დროს მუშახარატს გაუფუჭდა ხელი, რის გამოც იძულებული იყო ტფილისში ჩამოეყვანათ ავადმყოფი საწამლავად, ქარხნის გამგეს მუშების საყვარელ ამხ. მენო კალანდაძეს არა ერთხელ მიუმართავს ჯანსახკომისათვის ექიმის დანიშვნის შესახებ, მაგრამ დღესაც ჯანმრთელობის კომისარიატს არაფერი გაუკეთებია. დროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება და ჩათახის მუშებს გაეგზავნოთ ექიმი. ეს აუცილებელია.

მუშკორი მელითონე.

—

გერმანიის პროლეტარიატის სახელობის მუშათა კლუბში

ა. წ. 12 იანვარს ადგილობრივ დრამატიულ ქართულ წრის მიერ წარმოდგენილი იქნა ცნობილი დრამა „სოფლის გმირები". 10 და 11 ამ თვის რიცხვებში ხსენებული კლუბის კულტკომისია და გამგეობა გაუმასპინძლდა ადგილობრივ მუშამცხოვრებლებს კლოუნური უშინაარსო „ცირკით", რომლის დაშვება დიდ შეცდომათ მიმაჩნია, რადგან ზემოხსენებული კლუბი წარმოადგენს მუშათა კულტურულ ტაძარს და არა სამასხრო „ზალაგანს". ამისდამიხედვით ხსენებულ წარმოდგენაზედ ძლიერ ცოტა მუშები დაესწრნენ. თვით პიესის დამდგმელთა შორის უკმაყოფილებას იწვევდა ის გარემოება, რომ ამ „დიდებულ დრამაზე" მუშები არ ესწრებიან და ცირკში კი ბევრნი იყვნენო. ადგილობრივ სამხედრო მუსიკამ ბევრი უკრა, მაგრამ დარბაზს მაინც არავინ არ ემატებოდა და თითქმის 10 საათზე დაიწყო წარმოდგენა. ფარდა აიწია კიბე-კიბე, როგორც ჩვენ გვქონდა აღწერილი წინა წერილში.

მოთამაშენი ძალიან სუსტობდნენ. მათ მოუმზადებლობა ეტყობოდათ, მიზანსცენებს ვერ იკავებდნენ. მხოლოდ მესამე მოქმედებაში კარგი იყო მარო ასათიანი ანიკოს როლში. რაც შეეხება წესრიგის დაცვას, უნდა ითქვას, რომ ის არ არის აქ სრულებით.

მეტ ნაწილად ბავშვები ესწრებიან წარმოდგენას, რომელნიც ხელს უშლიან წარმოდგენას, კიდევ მინდა მოვაგონო გამგეს ფარდის შეკეთებაზე და აგრეთვე მოსპობილი იქნას აქ ყოველივე „ცირკები", დაიდგას ნამდვილი წარმოდგენები.

მუშკორი გ მ—შვილი

—

ჩვენში კულტმუშაობა არ არის.

(ხეთა-ზუგდიდის მაზრა).

სამხედრო ოყვის შეშის გატანის დაწყების დღიდანვე ხეთაში დაარსდა მეურმეთა არტელი. არტელი მართლაც სდგას თავის სიმაღლეზე და ასრულებს იმ მოვალეობას, რომელიც აწევს მას.

არტელს ყავს თავისი გამგეობა, სამი პირისაგან შემდგარი, რომელნიც თავდადებულად ზრუნავენ მუშათა კეთილდღეობაზე. არტელმა მათი მდგომარეობა მართლაც საგრძნობლად გააუმჯობესა.

მაგრამ არის ერთი სამწუხარო მოვლენა, რომელსაც არტელი ყურადღებას არ აქცევს. ეს არის განათლების დარგში არტელის არამოქმედიანობა. არტელი აერთებს 250 მდე მუშას და სამწუხაროა ის მოვლენა, რომ ამდენ მუშებს არ მოსდის არც ერთი გაზეთი და ჟურნალი, რომ მით ისარგებლონ მუშებმა კვირა უქმე დღეებს. ამა წლის იანვარში გამართულ იქნა ადგილობრივი სახალხო სახლის ასაშენებლად საღამო, სადაც დაესწრო ბევრი ხალხი აქ შესწირეს თავიანთი წვლილი სახალხო სახლს: ს. ბუკიამ 20 მან (ჩერ.), ვრ. ბეშიამ 16 მან ღირებული ხის მასალა. თ. ქირიამ 10 მან. ღირ. მასალა, პ. ჟანიამ 5 მანეთი და სხვებმაც შეიტანეს თავიანთი წვლილი ამ დიადი საქმისათვის, მაგრამ არტელის და „იპოს" ხმა კი არსად ისმის. საღამოს არტელის გამგეობის წევრებიც არ დასწრებულან, რაც დიდად სამწუხაროა ადგილობრივი მუშებისათვის. „იპომ" არამც თუ უმოქმედობა უნდა გამოიჩინოს ამ დარგებში, არამედ სხვებთან ერთად ისიც უნდა ჩაებას ამ საერთო ფერხულში და ხელი ხელ ჩაკიდებულათ უნდა იმუშაოს ასეთი საქმისათვის. ასე უნდა ქნას არტელმაც. არტელი, რომელიც აერთებს რამოდენიმე ასეულ მუშებს.

საჭიროა „იპო" და არტელი გამოიწერონ ჟურნალ-გაზეთებსაც, საიდანაც შესძლებენ მუშები სარგებლობას.

ინფორმატორი ა. იელიანიშვილი.

—

მუშა-მგოსანი გიგო ხეჩუაშვილის იუბილეს გაგრძელება.

პროვინციაში.

მიმდინარე წლის იანვრის ბოლო რიცხვებში ეგნატე ნინოშვილის სოფ. ნიგვზიანში (ოზურგეთის მაზრა) დასდგეს გიგო ხეჩუაშვილის ორ-მოქმედებიანი პიესა „სტამბაში" და ერთმოქმედებიანი დრამატიული პოემა „პაატა" ილია ორაგველიძის რეჟისორობით. საზოგადოებამ მოითხოვა „პაატას" განმეორება. შესდგა ავტორის პატივსაცემ იუბილეს მომწყობი კომისია არჩეულ იქნენ: თავმჯდომარედ ვ ქეიშვილი, წევრებად 1) გ. ლალაძე, 2) შ. დობორჯგინიძე. დაადგინეს დადგან 17 თებერვალს იუბილიარის ხუთ-მოქმედებიანი დრამა „უმანკონი", რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ი. ორაგველიძე, ვ. ქეიშვილი, კ სარიშვილი, შ. დობორჯგინიძე, გ ვაჩეიშვილი, დ დობორჯგინიძე, მ. კაშიბაძე, თ. ტულუში, გ. ლალაძე, ბ. ქუხაზავა, ჟ. მოისწრაფიშვილი, ს. ურუშაძე, დ. მოისწრაფიშვილი, მ. ჩხაიძე, ქ. მეგრელიშვილი და სხვა. დაუკრავს ლანჩხუთის ქალაქის მუსიკა. იქნება: მფრინავი ფოსტა, აუქციონი, ლოტარია. განზრახულია ამავე ხასიათის ზეიმი გადაუხადონ მუშა მგოსანს ქალ. ლანჩხუთში. შედეგები გამოცხადდება გაზეთებში.

ჯუმათის დრამატიული დასის რეჟისორი ილია ორაგველიძე.

—

ჩვენი მუშების წერილები მიზანს აღწევენ.

(აღმასკომის პასუხი)

შესახებ წერილისა, რომელიც მოთავსებული იყო თქვენს გაზეთ „კომუნისტი"-ს წ. წ. 22|12 მე-298 ნომერში სათაურით „ქუჩები მაინც დარჩნენ ძველ წარწერით" აღმასკომის კეთილ მოწყობ განყოფილებამ მომართვით ა წ. 5 იანვრიდან მე-22 ნომერში გვაცნობა, რომ მათ მიერ მიღებულია ზომები ქუჩებზე ახალი სახელების შესაცვლელად.

აღმასკომის ინფორმატორი გარდონიძე.

ჩიტების გუნდათ მოფრიალე ფურცლები და ხმაური მიგებება.

შემდეგ დადგმულ იქნა—ოპერეტა „მასკოტი". აქაც იუბილიარმა თავისებური სიცოცხლითა და სიცელქით ჩაატარა „ბეტინას" როლი. ყველა მონაწილე მსახიობნი საკადრისად უმშვენებდნენ მხარს იუბილიარს.

მესამე ნაწილი კი წარმოადგენდა საგანგებო ზეიმს. სცენა სავსეა მრავალრიცხოვან მიმლოცველთა მიერ.

მარჯვნივ კი—იშვიათ ყვავილთა შორის გადაქანებულა მაღალი ესტრადა. იქ ელოდება სამი ტახტრევანი, ყველამ იცის—ვისაც.

და აგერ გამოჩნდენ იგინიც.

მოხუც მშობლებს შემოჰყავთ შვილი. შეიძლება ითქვას: თეატრის მშობლებს—თეატრის შვილი.

რას განიცდიდა იმათი გული? რა ღელვარებას? მაგრამ ხალხი ჰფლავს აღტაცების ხმაურობაში მათ გამოსვლას.

პირველ ყოვლისა მიულოცა მსახიობთა კავშირის სახელით—აკაკი ფაღავამ.

შემდეგ ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს სახელით სიტყვა უთხრა ამხ. მარია ორახელაშვილმა, და მთავრობის სახელით მიულოცა 50 ჩერვონეცი.

ტფილისის აღმასკომის სახელით მისალმა ამხ. ბუხნიკაშვილი და აღუთქვა შემდეგში მას ცხოვრების უზრუნველსაყოფლად [illegible] მონაწილეობის მიღება აღმასკომის მიერ.

შემდეგ მოჰყვა მრავალი სხვა და სხვა მილოცვანი. ფრიად ასიამოვნა ხალხი მსახიობ ბალანჩივაძის გულწრფელ და ხუმარა სიტყვამ.

მილოცვები მრავალი იყო. განსაკუთრებით გამოიწვია ტაშის ცემა ორ უცნობ ქართველისაგან 50 გირვანქა სტერლინგის მიძღვნამ.

დიდის აღფრთოვანებით შეეგება ხალხი მე 21 საბავშვო სკოლის პატარა მოწაფის სიტყვას, მან თავის ლამაზი, მოსწრებული ლექსით მთელი ხალხი ფეხზედ ააყენა.

ბოლოს სიტყვა წარმოსთქვა სამადლობელად თვით ტასო აბაშიძემ.

მოხდენილი, მოფიქრებული და გულწრფელი იყო ყოველი მისი გამოთქმა. და ბოლოს დაამთავრა ამგვარად:

— მადლობას ვუხდი ჩვენ საყვარელ ხალხს, რომელიც ასე დიდებულათ აფასებს თავის შვილის მცირეოდენ ღვაწლს!

დუდუ.

—

— ხელოვანთა სახლში. დღეს, 12 თებერვალს ხელოვნების სასახლეში გაიმართება საქართ. პროლეტ. მწერალთა კავშირის საღამო. მოხსენებას პროლეტარულ ხელოვნების შესახებ წაიკითხავს იოსებ გედევანიშვილი.

— „პირველი ნაბიჯი" ეკრანზე. სახ. კინო მრეწველობის დასი რეჟისორ პერესტიანის მეთაურობით გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში გიორგი წერეთლის მოთხრობის „პირველი ნაბიჯი" ეკრანზე ადგილობრივ გადასაღებათ.

— ლენინის ნაწერები ქართულად. სახ. გამომცემლობა შეუდგა ლენინის ნაწერების ქართულ ენაზე გამოცემას. ნაწერები გამოვა რამდენიმე ტომად.

— წითელი ჯვარის სასარგებლოდ. დღეს, საქართველოს წითელი ჯვარის სასარგებლოთ მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართება დიდი საღამო.

დღეს თეატრებში.

— დრამა—წითელი ჯვარის სასარგებლოთ „კაცი მასსა".

— ოპერა —

— სახ სახლი —

პროვინციაში

სოფ. მცხეთის შეფს

მცხეთა ძალიან ღარიბი და ჩამორჩენილი სოფელია. გლეხობას არ აქვს სამყოფისი მიწა.

ამ სოფელს აქვს პატარა ბოსტნები არაგვის პირას. მოვარდება გაზაფხულობით არაგვი და სულ მთლიანათ წაიღებს ხოლმე ნათესს. ამ სოფელს არ აქვს სასმელი წყალი, მხოლოდ დასალევ ვით ხმარობენ მტკვარს, რაც დიდად მავნებელია ჯანმრთელობისათვის. გაჭირვებულ გლეხობას ეხმარებიან, სხვათა შორის, ე. წ. შეფები. მცხეთის გლეხობასაც უწია ბედმა. ოქტომბრის რევოლუციის დღეს, 1923 წ. 7 ნოემბერს ჩამოდნენ თბილისის სადგურის მუშები, 1 რაიკომის 19 კომუჯრედის წევრები, წითელი დროშებით. მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა მუშების წარმომადგენელმა და გააცნეს მცხოვრებლებს შეფის მნიშვნელობა და მოვალეობა. მიტინგზე დამსწრე გლეხობა შეხვდა მათ დიდი აღტაცებით. ფიქრობდნენ, რომ შეფი გაუწევდა დახმარებას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მარტო მოტანილი წითელი დროშა შერჩა „მცხეთის გლეხობას. ამ სამი თვის განმავლობაში მცხეთისკენაც არ მოუხედნიათ, არამც თუ დახმარება. ასეთი შეფობის აღება დაუშვებელია მუშებისაგან. ასეთი უმოქმედობა სხვა კარგ შეფებსაც გავლენას დაუკარგავს გლეხობაში. მთელი გლეხობა გულდაწყვეტილია, რომ შეფის ნათქვამი სიტყვები ჰაერში დარჩა მხოლოდ.

მცხეთის გლეხობა სთხოვს თავის შეფს აღმოუჩინოს მას შესაძლებელი დახმარება და მართლაც გამოიჩინოს მასზე მზრუნველობა.

კომკავშირელი: შ. მიქელაძე.

სოფ. საგარეჯო (გარე კახეთი)

27 იანვარი საგარეჯოს ცხოვრებაში წარმოადგენდა არა-ჩვეულებრივი მნიშვნელობის დღეს. მოწყენილი და მოპირქუშებული ბუნების გარეგანი სახე სავსებით შეესაბამებოდა ამ დღის შინაარსს. ცა დაფარულია სქელი ღრუბლებით. მზის სხივები ვერ ატანენ დედა-მიწის გულამდე. თითქოს ბუნებაც გრძნობდა, რომ მთელი ქვეყნის მუშათა კლასმა დაკარგა თავისი ინტერესების მიდგარი დამცველი და უდიდესი წინამძღოლი—ლენინის სახით. ზამთრის დილამ გამოიჩინა თვისი სუსხი. მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც თავისას არ იშლის. ყოველი კუთხიდან თავს იყრიან საბჭოს სამმართველოს წინ, რათა უკანასკნელად პატივი სცენ და ქედი მოიხარონ დიდებული მასწავლებლის წინაშე. ხალხის გამომეტყველება გამოხატავდა ღრმა მწუხარებას და სევდას ყველა დათალხულია ტრაურით. 12 საათისათვის საგარეჯოს სამმართველოს წინ თავი მოიყარეს: ადგილ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მუშა მოსამსახურეებმა, თემის სკოლების მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა, ადგილ. მილიციის წარმომადგენლებმა, ახალ. კომ. კავშირელებმა და ახლო-მახლო მდებარე სოფლების მშრომელმა გლეხ-კაცობამ. ბავშვები გაცრეცილი სახით გამოიყურებიან. სცივათ, ძიგძიგობენ, მაგრამ მაინც არ უდრეკებიან სიცივის სიმძაფრეს ყმაწვილური ჯიუტობით. ყველა მათგანს პირზე აკერია საყვარელი ლენინის სახელი.

მთელი ბაზრის ქუჩა და იქ მდებარე სახლები მორთული იყო სამგლოვიარო დროშებით და მწვანეულობით. ლენინის სურათს შემოვლებული ჰქონდა სამგლოვიარო არშია. აქა-იქ გაკრული იყო შესაფერი პლაკატები.

სრულს 12 საათზე მთელი ეს პროცესია დარაზმულად, სამგლოვიარო მარშით სიმღერით, დროშებით, სურათებით და მუსიკით გამართა ბაზრის ქუჩით თეატრის მოედნისაკენ, სადაც დანიშნული იყო სამგლოვიარო მიტინგი. პროცესიას ხელმძღვანელობდა საგარ. საბჭოს თავმჯდ. ამხ. სამ. აბრამაშვილი. პროცესია გრძელდებოდა ნახ. ვერსზე და მონაწილეთა საერთო რიცხვი აღწევდა 8000 სულამდე. თეატრის მოედანზე ტრიბუნა მორთული იყო მწვანეულობით. მიტინგი გახსნა ამხ. სამ. აბრამაშვილმა, რომელმაც ამცნო ხალხს ტვირთ მძიმეთა და ჩაგრულთა ბელადის სიკვდილის სამწუხარო ამბავი.

მუსიკა უკრავდა სამგლოვიარო მარშს და მოსწავლეთა გუნდი ამხ. გ. გარსიაშვილის ლოტბ[illegible] მღეროდა ინტერნაციონალს.

პირველად სიტყვა წარმოსთქვა საგ. კომ უჯრედის მდივანმა ამხ. გ. რადლევსკიმ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ილიჩის ბიოგრაფია და დამსახურებანი მსოფლიო რევოლუციის და პროლეტარიატის წინაშე. მან სთქვა, რომ ამხ. ლენინის სიკვდილით ჩვენ არ უნდა შევდრკეთ, არ უნდა დავიქსაქსოთ და მკიდრო რიგებით უნდა გავსწიოთ გენიოსი მასწავლებლის მიერ გაკვლეული გზით და გეგმით. საგარეჯოს კომ. უჯრედის სახელით გამოვიდა ამხ. საქ. ოსკანოვი, რომელმაც მგზნები ენით და მოკლედ აღნიშნა, რომ ლენინი არ არის მკვდარი მშრომელი ხალხის გულში.

საგარეჯოს 9 წლ შრომის სკოლის სახელით სიტყვა წარმოსთქვა გამგის მოადგ. ამხ. იერ. დ. გულისაშვილმა, რომელმაც აღნიშნა ამხ. ლენინის ფასდაუდებელი ღვაწლი მშრომელი მასის და პროლეტარიატის სასარგებლოდ, კერძოდ მოზარდი თაობის და მოსწავლე ახალგაზრდობის სიმართ.

ახალგ. კომ. კავშირის სახელით მიტინგს მისალმა ამხ. ვარა ჩელნანოვა, რომელმაც უსურვა ლენინის მიმდევართ მისი დიადი მიზნების განხორციელება.

თოხლიაურის შრ. სკოლის სახელით მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. დათიკო ლორთქიფანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ლენინი არის მარქსის თეორიის სრული განსახიერება პრაქტიკაში და რომ იგი იყო თავ-გამოდებული დამცველი და მოსარჩლე მშრომელი და ჩაგრული ხალხისა მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

სიტყვის დათავებისას სთქვა, რომ გენიოსი ლენინის მოძღვრება იქნება ჩვენთვის გზის მაჩვენებელ ლამპრად.

საგანგებო სამგლოვიარო ფურცელი წაიკითხა მასწ. გ. გარსიაშვილმა. ამხ. აბრამაშვილმა სამოქალაქო პანაშვიდი გამოაცხადა ხუთი წუთით, რომლის დროს მთელი დამსწრე საზოგადოება ღრმა სევდით და მძიმე გრძნობებით შეპყრობილი თავ-მოშიშველი იდგა. სამგლოვიარო პანაშვიდის შემდეგ ადგილ. მილიც. წარმომადგენლებმა და კომკავშირელებმა ლენინის უკვდავი ხსოვნის პატივსაცემად ისროლეს ჯგუფად სამჯერ თოფები. შუა დღის 4 საათზე ამხ აბრამაშვილმა სამგლ. მიტინგი დახურულად გამოაცხადა. მთელი ეს პროცესია მწყობრად და იმავე დარაზმულობით დაბრუნდა უკან საგარ. საბჭოს სამმართველოსკენ, საიდგანაც იგი დაიძრა. ამხ. გ. რადლევსკიმ წარმოსთქვა უკანასკნელად მგრძნობიარე სიტყვა. უკანასკნელადვე გაისმა მოწაფეთაგან სამგლოვიარო მარშის რეკვიემი, რის შემდეგაც ხალხი დაიშალა.

დ. ზუბაშვილი.

ბიბლიოგრაფია

ყოველთვიური სამეცნიერო კრებული „ჩვენი მეცნიერება"

იანვარი № 8

იანვრის ნომერი ჟურნალ „ჩვენი მეცნიერების" მიძღვნილია პროფ. პ. მელიქიშვილისადმი. პირველი წერილი ჟურნალის შეიცავს პროფ. მოკლე ბიოგრაფიას. მეორე წერილი ეკუთვნის პროფ. დიმიტრი უზნაძეს, „ქართველ ბავშვთა სასწავლო საგნებისადმი ინტერესი". წერილში აწერილია ის მეცნიერული ექსპერიმენტი, რომელიც პრ. უზნაძეს მოუხდენია 1920 წ. ზამთარში. ექსპერიმენტის მიზანი ყოფილა გამოკვლევა: 1. ქართველ მოწაფეთა იდეალის ევოლუციის, 2. მათი ინტერესი სასწავლო საგნების მიმართ; 3. კორელაცია იდეალსა და საგნებისადმი ინტერესს შორის. წერილი ამ საკითხის გასარკვევად მდიდარ მასალას იძლევა. შემდეგი წერილი „გვაროვნული წესწყობილება და მისი გავლენა საბერძნეთის ისტორიის პირველ ნაბიჯებზე"—ეკუთვნის დოც. გრ. ნათაძეს. წერილი დაკვირვებით არის შედგენილი. საკითხი, რომელსაც ეხება ავტორი, დაუმუშავებელ საკითხს წარმოადგენს ისტორიისათვის და ამდენადვე ამ საკითხის გარკვევის ცდა ყურადღებას იპყრობს. შემდეგ მისდევს პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის" გაგრძელება. ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე პროფ. აკ. შანიძის წერილი. Miscellanea: 1 დავით აღმაშენებლის ანდერძისათვის. 2 დიონისე ვეფხის ტყაოსანსა. საინტერესოა მიხ. ასათიანის—„[illegible] პასუხთა სიმპტომო-კომპლექსის ფსიქიური მექანიზმები ისტერიის დროს". უკანასკნელი წერილი მათემატიკურ მეცნიერებიდან ეკუთვნის ნ. პოდკორინს და დაწერილია გერმანულ ენაზე—„Uber die Fokalpunkte der Flachen zweiter Ordnung".

ჟურნალი სუფთადაა გამოცემული და ღირს 70 კ ჩერვ.

დ.

—

შეცდომის გასწორება ჩვენი გაზეთის 32 ნომერში (8 თებერვალი) ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში „ქართული ლიტერატურის ისტორია"-ს შემთხვევით გამორჩა წარწერა, რომ აღნიშნული წიგნი ეკუთვნის პროფ. კორ. კეკელიძეს.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ „კომუნისტში" შემდეგი განცხადება:

მე ვმუშაობდი მენშევიკურ პარტიაში, ვღებულობდი მონაწილეობას არალეგალურ მუშაობაში საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც. მაგრამ უკანასკნელ დროს, დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი გზა შემცდარი იყო, რომ ჩვენი პარტიის მიერ აღებული სამუშაო ხაზი საზიანოა მუშათა კლასისათვის, მე ვტოვებ მენშევიკურ პარტიას, ვსწყვეტ მათთან ორგანიზაციულ კავშირს და სავსებით ვუერთდები ყოფილ მენშევიკთა ყრილობის დადგენილებებს.

ყოფილი მენშევიკი ამფილოქე ღლონტი

1924 წ. 6 თებერვალი.

ქალ. ოზურგეთი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 4 | 120

ამიერ კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსა.

1924 წ. თებერვლის 1.

საავანსო განაცემის შესახებ.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სააღრიცხვო კრედიტების ანგარიშში საავანსო განაცემის შესახებ 1923 წლის მაისის 10-ს თარიღითა და 46 №-ით გამოცემული დადგენილების (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერ-კავკასიის სოც. ფედ საბჭ. რესპუბლიკის მთავრობისა 1923 წ. № 8 მუხ. 104) 1-ლი მუხლის შესავსებლად — ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

იმ ადგილების დაწესებულებათ, სადაც არის ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროები, ავანსი მომქმედი სააღრიცხვო კრედიტების ანგარიშში მიეცემათ:

ა) დამამზადებელი და საამშენებლო ოპერაციებისათვის ერთდროულად არა უმეტეს იმ კრედიტის 25 პროც.-ისა, რაც სათანადო თვისათვის გახსნილია ამა თუ იმ ოპერაციის ან სამუშაოს უზრუნველსაყოფად;

ბ) დანარჩენი საოპერაციო ხარჯებისათვის, როგორიც არის მაგალითად წარმოებისა და ექსპლოატაციის საქმე და სხვ.—ერთდროულად არა უმეტეს იმავე კრედიტის 15 პროცენტისა.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ნ ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის დრ. აღმასრულებელი ს. ლეკიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, 12 თებერვალს, დილის 11 საათზე ც. კ—ტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში დანიშნული სხდომა

სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემის შესახებ,

მოწვეულნი არიან ამხ. ქვანია, ამხ. რცხილაძე (მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატიდან) და ამხ. პ. საყვარელიძე.

ც. კ—ტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ორაგველიძე.

— დღეს, 12 თებერვალს, ნაშუადღევის 1 საათზე ც. კ—ტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში

დანიშნულია თათბირი.

ამხ. იოვიძე წაიკითხავს მოხსენებას საბჭოთა კავშირის მუშათა ფაკულტეტების კონფერენციის შესახებ. თათბირზე მოწვეულნი არიან წარმომადგენელნი: განათლების სახალხო კომისარიატის, დეკანები, სტუდენტთა კომიტეტების თავმჯდომარენი, კომუჯრედებისა და ახალგაზრდათა კომკავშირის ქართულ, რუსულ და რკინისგზელთა მუშათა ფაკულტეტების მდივნები.

ცენტრალური კ—ტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ორაგველიძე.

— ოთხშაბათს, 13 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ნაძალადევის თეატრში მოხდება ლენინის რაიონის (1 რაიონი) ყველა წევრებისა და კანდიდატების

საერთო სარაიონო პარტიული კრება

სავალდებულოა დასწრება ყველა წევრებისა და კანდიდატებისა.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციის შესახებ, 2) მოხსენება საქართველოს საკონტროლო კომისიისა.

ლენინის რაიკომის მდივანი გოლდბაუმი.

ს. კ. პ. ცკკას სააღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა გამოცხადდნენ ს. კ. პ. ც. კ-ში. 1) ატოევი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე. 2) აივაზოვი ნიკოლოზ ემელიანეს ძე. 3) ადამიძე თამარა ივანეს ასული. 4) ბუაჩიძე ანდრო გრიგოლის ძე. 5) გორგასლიძე თეოფანე ხოსიას ძე. 6) დივნოგორცევი დიმიტრი გრიგოლის ძე. 7) ვარდოიანი გიორგი თედორეს ძე. 8) იოანესიანი. 9) ყურულოვი გიორგი. 10) კაკაბაძე იოსებ პავლეს ძე. 11) მამულია ილია დიმიტრის ძე. 12) პენიაკოვა სარა გრიგოლის ასული 13) რუბენი. 14 რუხაძე არჩილ გერმანეს ძე. 15) საყვარელიძე პავლე 16) სიხარულიძე ვიქტორ. 17) ტრაპაიძე ზებედი სამსონის ძე 18) ჩლაიძე ნიკოლოზ ლუკას ძე. 19) ჯინჭველაშვილი შალვა პლატონის ძე. 20) თაქოევი სტეფანე ადამის ძე. 21) ქვანია ისაკი. 22) ავაქიანი არშავირ. 23) თემურაზოვი სურენ

ცკკას სააღრიცხვო განმანაწილ. განყ. გამგე: ა. ლიცინოვი

საქართველოს საბჭოთა პარტსკოლების თათბირი.

— საქ. კომპარტ. ცენტ. კომიტეტი საბჭოთა პარტსკოლებში განვლილ მუშაობის შესამოწმებლად და სკოლების მშენებლობაში მომავალ ამოცანათა გამოსარკვევად, ამ წლის 15 თებერვალს **იწვევს საბჭოთა 1 და მე 2 საფეხურის პარტსკოლათა გამგეების თათბირს.**

თათბირის წესრიგი:

1. მოხსენება საქართველოს საბჭოთა პარტსკოლების შესახებ:
2. მოხსენებანი ადგილებიდან, შესრულებულ მუშაობის შესახებ.
3. საბიბლიოთეკო და საკლუბო მოღვაწეობა.
4. პოლიტგანათლება და პარტიული მუშაობა.
5. საკითხი ლექტორების შესახებ და სხვა.

წინადადება ეძლევა საბჭოთა პარტსკოლების ყველა გამგეებს ჩამოვიდნენ ამ თათბირზე და წამოიმძღვარონ ყველა მასალები, რაც კი ეხება საბჭოთა პარტსკოლების შინაგან ცხოვრებას, მის შემადგენლობას და სამოსწავლო მოღვაწეობას.

თათბირი გაიხსნება ც. კ-ტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

ს. კ. პ. ც. კ-ტის მდივანი ქართველიშვილი.

ც. კ-ტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ორაგველიძე.

სამშაბათს, 12 თებერვალს.

1. მარქსისტული წრის მეცადინეობა 7 საათზე.

პარტკლუბის გამგეობის თავმჯდომარე ა. პენიაკოვა.

განცხადებები

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ექიმი მიხეილი ივანეს ძე მირზაშვილი შვილებით: ბესარიონ, ირაკლი და რუსიკო; დიდა—თამარა გრიგორის ასული, ძმები ვიქტორი და ვიკენტი ბესარიონის ძე მდივნები ოჯახობით ვაუწყებთ ნათესავებს და ნაცნობებს ჩვენთვის საყვარელ

ანნა ბესარიონის ასულის

მირზაშვილი—მდივანის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალების. პანაშვიდი კვირას და ორშაბათს, საღამოს 6 საათზე, მიხეილის საავადმყოფოში გამოსვენება და დაკრძალვა სამშაბათს 10 საათზე, დილით წმინდა ნინოს სასაფლაოზე. № 522 2—2

ღრმად დამწუხრებულნი ბაბუა ილიზბარი, ბებია მარინე, ბიძები: სანდრო, სერგი და ეტიფო, ბიცოლები აგრაფინა, ელენე და [illegible] და სონია კაკაბაძეები ამით აუწყებენ ნაცნობ და ნათესავთ, რომ ამა თვის 10-ს, საღამოს 7 საათზე გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი პირველთა შვილიშვილი, მეორების დისწული პაწია

გოგია კარიჭაშვილი.

დასაფლავება მოხდება ამა თვის 12-ს სოფელ ხიდისთავში.

1—1. № 525

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით აცხადებს, რომ ა. წ. თებერვლის 8, დილის 11 საათზე უდროვოდ გარდაიცვალა სატყეო ტრესტის თანამშრომელი

ალექსანდრა კონსტანტინეს ასული

ცაგარელ—მიქელაძისა

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. მიცვალებული ასვენია თავის ბინაზე: განოვის ქ. № 3.

ნის. № 885. 1—1

მიიღება ხელის მოწერა [illegible]

ტფილისში გამოცემულ ყველა გაზეთებზე და ჟურნალებზე, პოლიტგანათლების მთავარი მმართველობის წიგნის მაღაზია

„კომუნისტ"-ში

მე-3 ინტერნაციონალის ქ. № 27. ტელეფონი № 115

მაღაზიის გამგე

საქართველოს ს. მ. უ. ს. საზომ-საწონთა პალატა

დამატებით 1924 წლ. იანვრის 25 და 31 ან გაზ „ზარია ვოსტოკაში" (№№ 485 და 491) და იმავ რიცხვიდან გაზ. „კომუნისტში (№№ 20 | 872 და 25 | 877) გამოქვეყნებულ განცხადებისა წინადადებას აძლევს ყველა, განურჩევლივ სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და პირთ, რომლებსაც

სასინჯავათ და დაღის

დასმისათვის მოეპოვებათ სასწორები და ზომები (დაღიანი და უდაღო 1922 წლამდე) წარმოადგინონ ამნაირები დანიშნულ ვადებში უეჭველად ს. მ უ. ს. საზომ-საწონთა პალატაში სათანადო გასასინჯავათ და დაღის დასასმელად

ამასთან ნავე პალატა ღებულობს თავის სახელოსნოებში სასწორების და ზომების შეკეთებას. მისამართი: პლეხანოვის პრ. № 117.

საქართვ. ს. მ. უ. ს. საზომ საწონი პალატის უფროსი გოცირიძე.

უფროსი შემმოწმებელი სმირნოვი.

2—1 ნის. № 886

მე 12-ე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქალაქ ტფილისისა ა. გეგელაშვილი

ამით აცხადებს, რომ 26 თებერვალს, 1924 წლს მე 12-ე სამილიციო უბანში გორის შესახვევი № 12 შესდგება

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება ქონება გიორგი დავითის ძე გოცირიძესა: სახლი ორსართულიანი—ქვისა, სივრცე 155,55 კვადრატიული საჟენი. სახლი შეფასებული არის 60 ჩერვონეცი (ექვსასი ჩერვონული მანეთი) აღნიშნული თანხით უნდა დაკმაყოფილებული იქნას გოცირიძის მოვალე ამხ. „მწყემსი"-ს. თანხის გადახდის ვადა 1924 წ. 26 ივლისამდე. თანახმად მე 12 ე სამილიციო უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლისა № 731, ეს თანხა გადატანილი ინგლისურ სტერლინგზე შეადგენს 124 გირ. სტერლინგს, 3 შილინგს და რვა პენსს. აღნიშნულ თანხის გადახდა შეიძლება ამიერ-კავკასიის ბონებითაც გამოცხადებულ კურსის მიხედვით. ქონება იქნება ამხანაგობა „მწყემსი"-ს განკარგულებაში საწინდრის სახით თანხის გადახდამდის მოქ. რომელთაც აქვთ სურვილი მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინონ აღნიშნული თანხის 10 პროც. საწინდრათ და ქალაქის აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების მოწმობა, რომ აღნიშნულ სახლს ისინი იძენენ თავშესაფარად და რომ მეტი ბინა მათ ან მის ცოლშვილს არ მოეპოვება

1—1 № 884. სასამართლოს აღმასრულებელი ა. გეგელაშვილი

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის აგების კ-ტი ამით აცხადებს

შეჯიბრებას

შემდეგ მოწოდებაზე:

1. **შიშველი სპილენძის ელექტრონის სადენი:**

70 ოთხკ. მილ. სიმსხოის	200 ფუთი
50 „ „ „	40 „

2. **განმხოლოებელი (იზოლიროვანი) ელექტრონის სადენი:**

70 ოთხკ. მილიმ. სიმსხოის	160 მეტრი
50 „ „ „	40 „
25 „ „ „	150 „
16 „ „ „	500 „
10 „ „ „	100 „
6 „ „ „	100 „
4 „ „ „	350 „
1,5 „ „ „	500 „

განცხადებები სრულ ან ნაწილობრივ მოწოდების შესახებ აღნიშვნით ფასების ჩერვ. მანეთში ფრანკო ტფილისი, შემოტანილი უნდა იქნენ სამუშაოთა სამმართველოს სამასალო განყოფილებაში არა უგვიანეს ამა თებერვლის 15 დღის 12 საათისა (ლადო დუმბაძის ქ. № 3). განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს საწინდარი 5 პროც. რაოდენობით სრული თანხიდან.

3—2 № 878. სამუშაოთა უფროსი, ინჟინერი ჭიჭინაძე

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—16

ექიმი

ქ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 499—25—5

დაიკარგა მოწმობა ქვიცის ყიდვის შესახებ № 107 ნიკოლოზ მათეს ძე გიორგანაშვილის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად № 523. 1—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული დალესტნის ოლქში საბა-მირზაგალა-ოღლის სახელობაზე ჩაითვალოს გაუქმებულად. № 524. 1—1

დაიკარგა სახლის წიგნაკი სამოვოლნი ქუჩა მცხოვრებ სიმონ ხოსიას ძე კიკნაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. უფ. 1—1

„ზარია ვოსტოკას" სტამბა, სამ. წულუკიძის ქუჩა № 4